


სალიტერატურო და სამეცნიერო ნახატებიანი გაზეთი გამოდის ყოველ კვირა დღეს

№ 32 ივლისი 28 1896 წ. № 32

შინაარსი: ბაგრატიონთა ფონდის დაარსება.—სხვა-და-სხვა ამბავი.—საყურადღებო ამბები.—*** ლექსი.—მარჯორი გორდონი ყვირილის ხეობაში სტუმრისა.—*** ლექსი რ. ე—ისა.—ცხოველთა და ფრინველთა თავის დაცვა.—საჭიროა თუ არა ექიმები ჩვენ სოფელში.—მოხუცი ნინიკა, ლექსი სოზელისა.—ჩალდირი (შემდეგი) ოტია ათაბაგისა.—ბედის მაძიებელი იულია კალატოზოვისა.—სახელ-მოქმედო საქმე და კერძო განცხადებანი.—

## ბაგრატიონთა ფონდის დაარსება.

მივაქცევთ მკითხველის ყურადღებას ქვემორე დასტამბულს მოწოდებას შორაპნის მაზრის წინამძღოლის თანამდებობის ამსრულებელის თ. მიხ. ზურაბის ძის აბაშიძისას. ამ ჩინებული მოწოდების დასახასიათებლათ საჭიროა გავიხსენოთ ორიოდე სიტყვით დიდებული ძველებური ტირილი განსვენებულის უგანათლებულესის ალექსანდრე ბაგრატიონისა, რომელიც გადაიცვალა წარსულ წელს. მიცვალებულის გამოსათხოვარი პატივისცემისათვის საქართველოს ყოველი კუთხიდან იყო იმდროს ხალხი მოსული. ყველანი გრძნობდენ, რომ სათლავს აბარებდენ წარმომადგენელს ბაგრატიონთა გვარისას. აი, ეს მწუხარე გულის ამონახეთქი ნაღველი ჩინებულათ გამოხატა ბ. გ. წერეთელმა და გულის მოსაოხებლათ ახლანდელს შავს ცხოვრების ღრუბელში გამოაკრთო მან მომავლის სანუგეშო ნაპერწკალი. იმან მიუთითა იქ მყოფ ერს, თუ როგორი ქველ-მოქმედებით შეიძლებოდა აწმყო დაკარგული აღვვედგინა მომავლის სასიკეთოთ.

„აბა, ძმებო ქართველებო, დღეს მოტირალნო, ახლა თქვენ უნდა მოგმართოთო—დაიძახა მწუხარებით სულშეგუბებულ ხალხში გ. წერეთელმა—„ნუ გაუშვებთ ჩვენ საყვარელ ალექსანდრე ბაგრატიონს მის დიდებულ წინაპრებთან ისე, რომ სანუგეშო არა წაიღოს რა მათთან. მოდით, დღეს ჩვენ შევქმნათ ამის სახელი უკვდავათ და გავხადოთ იგი ღირსეული შვილი თავის დიდებული წინაპრებისა. დღეს ამის სახელით ჩავდგათ პირველი ქვა საქართველოს ერის ერთობისა.—რა უნდა იყოს მაგისთანა საქმეო?—მკითხავთ თქვენ. აი, რა?.. გაიხსენეთ, რომ ჩვენ გვყავს ახალმოზარდი თაობა, რომელსაც პატრონობა უნდა, ამას გარდა დღეს ბევრია ჩვენ ხალხში ზეპირგადმოცემითი ამბები დიდებული ჩვენი წინაპრებისა, რომელთაც უნდა შეკრება და გამოცემა, რომ უფრო გამტკიცდეს საქართველოს ერის მომავალი ცხოვრება და სახელი ბატონიშვილის ალექსანდრეს დიდებული წინაპრებისა. ამ საქმეს უნდა დიდი ნივთიერი საშუალება. უნდა შეგროვდეს ამის გულისათვის საერო თანხა. ყოველმა ჩვენთაგანმა უნდა შეიწიროთ წვლილი ამ საქმეს. თითოეულმა ქართველმა ქალმა და ვაჟმა, დიდმა და პატარამ თითო აბაზიც რომ გამოიღოს წელიწადში, მაშინაც დიდი ფული შედგება“.

ამ სიტყვებზე იქ დამსწრე გლეხებში დიდი მოძრაობა შეიქნა, ლაპარაკობდენ,—„თუნდ თითო მა-

ნეთიც იყოსო“. ეს სიტყვები რომ წარმოითქვა, მას აქეთ გავიდა თითქმის ერთი წელიწადი. ჩვენ გვეგონა, რომ გ. წერეთლის სიტყვები დარჩენ ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა. მაგრამ არა. თურმე ის სიტყვები დაცემულან ნაყოფიერ ნიადაგზე და დღეს ფრიად სანუგეშო მოვლენათ მიგვაჩნია შორაპნის მაზრის მარშლის თ. მიხაილ ზურაბის ძის აბაშიძის განცხადება შესახებ ალექსანდრე ბაგრატიონის სახელზე საერო ფონდის შეგროვებისა. რომ ამ ფონდს დიდი წარმატება ექნეს მთელ საქართველოში, საჭიროა: 1) დაერქვას მას სახელათ ბაგრატიონთა გვარის საერო ფონდი, 2) შეუერთდეს მისი ფული ზეპირსიტყვაობის საერო ფონდს და ამავე ფონდს მიემატოს ირაკლის სახელზე შეკრებილი ფულიცა, 3) გადაეცეს მისი საქმეების მართვა აკაკი წერეთელს, დეკანოზს დავით ღამბაშიძეს, გიორგი წერეთელს და ანასტასია წერეთლისას, რომელთაც აქეთ ჩაბარებული აგრეთვე ირაკლის ფონდისა და ზეპირ-სიტყვაობის ფონდის საქმეები. ხოლო ბაგრატიონთა გვარის საერო ფონდს ბურჯათ უნდა დაედვას თვით განსვენებულის ალექსანდრე ბაგრატიონის ოჯახის შეწირულება. თუ არ ვცდებით, უგანათლებულესის ალექსანდრე ივანეს ძის ქვრივმა კნეინა ითიდორამ მაშინ აღუთქვა ბაგრატიონთა გვარის ფონდს შეწირულება არა ნაკლები ასი თუმნისა. იმედია, ამ დიდ საქმეს შესაფერ შემწეობას აღმოუჩენს ჭიათურის შავი-ქვის მწარმოებელი საზოგადოებაც, რომლის თავმჯდომარეთ ახლა ირიცხება თ. პეტრე წულუკიძე. ეს საზოგადოება წელიწადში ჰყიდის არა ნაკლებ ხუთი მილიონი ფუთისა. ამ საზოგადოებამ რომ ფუთზე მეათედი კაპეიკი გადადვას ირაკლისა და ბაგრატიონთა გვარის ფონდისათვის, თვითონაც არა დააკლდებარა და მარტო ამ საზოგადოებას შეუძლია წელიწადში ხუთასი თუმნიდან ათასთუმნამდე შეაგროვოს ამ სანუგეშო საერო საქმისათვის. ის კი არა, ჩვენმა ცნობილმა შავი-ქვის მწარმოებელმა, ნ. ბ. ღოღობერიძემ, რომ ფუთზე მეათედი კაპეიკი გადააგდოს, ორას თუმნამდის იმასაც შეუძლია ყოველ წელიწადს შეძინოს ამ საერო ფონდს. ახლა იმაზე ნაკლები მწარმოებელნი რამდენი არიან, თუკი ისინიც მოისურვებენ მონაწილეობის მიღებას?.. ქების ღირსია აგრეთვე ბ-ნი იორდანე სიხარულიძე, რომელმაც ირაკლის ფონდს წლიურათ აღუთქვა ათ-ათი თუმნის შემოწირვა. თუ ჩვენი ქვაგუნდის მწარმოებელნი უკან არ დადგენ ამ საქმეში, იმედია, მალე ათობით და ოცობით გვეყოლებიან საზღვარგარეთ გაგზავნილი ქართველნი მოწაფენი სხვა-და-სხვა სპეციალურ სასწავლებლებში განსაკუთრებლათ.

## სხვა-და-სხვა ამბავი.

პატივცემულ გაზეთის „კვალის“ მკითხველებს უეჭველათ წაკითხული ექნებათ შარშანდელი 1895 წლის გაზეთის „კვალის“ № 11, სადაც ვრცლათ არის აწერილი უკანასკნელი ტირილი და გამოსალმება უგანათ. თავ. ალექსანდრე ივან. ძის ბაგრატოვანისა. ბ.ბ. გიორგი და აკაკი წერეთლებმა იმ დღეს წარმოთქვეს შესანიშნავი სიტყვები. დიდი თანაგრძნობა გამოიწვია ხალხში განსაკუთრებით გ. წერეთლის სიტყვამ, რომელშიაც მან მიუთითა ხალხს საერო ფონდის დაარსების საჭიროებაზე ბაგრატიონთა გვარის მოსახსენებლათ. ძვირფასი გულის მექონის უგანათ. თ. ალექ. ივ. ძის ბაგრატიონის სახსოვრათ და მისი მემკვიდრის მცირე წლოვანის დავითის სიცოცხლის წარსამართებელათ უნდა ყოფილიყო შეწირული საერო წლილი შეძლებისადაგვარათ. ამ შვენიერი და ფრიად სასიამოვნო სიმპატიური აზრის განხორციელება, დროთა ვითარების გამო, დღემდის არ ყოფილა შესრულებული და დღეიდან ვკისრულობ რა ამ დაუვიწყარს ვალს, რომ ყოველმა ჩვენთაგანმა შეუწყოს ხელი ამ სასიქადულო და საშვილი-შვილო საქმეს, ენიშნავ თანაშემწეებათ ამა სიმპატიურის აზრის განხორციელებისათვის პირადათ მე შემდეგ პირებს: 1) ყვირილის ადმინისტრატიულ განყოფილებაში თავადს სამსონ ზურაბის ძეს აბაშიძეს, აზ. დიმიტრი ზურაბის ძეს მაჭავარიანს და აზ. ანტონ სპირიდონის ძეს ქლენტს, 2) ხარაგაულის განყოფილებაში: ივანე დარისპანის ძეს ავალიშვილს და დასკალ გიორგის ძეს კიკნაძეს, 3) ჭიათურის განყოფილებაში: სამსონ ნიკოლოზის ძეს აბდუშელიშვილს და კონსტანტინე ივანეს ძეს აბაშიძეს, 4) საჩხერის განყოფილებაში: თ. ფრიდონ გრიგოლის ძეს წერეთელს, ანტონ ივანეს ძეს აბაშიძეს და ილარიონ ოტიას ძეს გამყრელიძეს და, 5) ჩხარის განყოფილებაში: თ. ნესტორ კონსტანტინეს ძეს ხიდირბეგიშვილს, ლუარსაბ ნიკოლოზის ძეს იშხნელს და იაგორ ივანეს ძე მდივანს. სრული იმედი მაქვს, რომ პატივცემულნი მკითხველნი გაზეთი „კვალისა“ ყოველსავეგვარ შემწეობას აღმოუჩენენ ამ კეთილ განზრახულ საქმეში და არ დაიშურებენ შეძლებისადაგვარათ წვლილის შემოწირვას; აგრეთვე ის პატივცემული პირებიც არ განაცხადებენ უარს თანაშემწეობისას, რომლებიც არიან ზემორე ჩემ მიერ დასახელებულნი. იმედია, ყველა ერთობით მიიღებენ გულწრფელათ შრომას ამ საქმეში.

აღმასრულებელი შორაპნის უეზდის თავად-აზნაურთა წინამძღოლისა თავადი მიხეილ ზურაბის ძე აბაშიძე.

*
* *

უმთავრესათ დამტკიცდა სახელმწიფო საბჭოს წინადადება: ჩრდილოეთის შავი ზღვის მხარე გადაკეთდეს გუბერნიათ და ამიერ-კავკასიას მიეწეროს. გუბერნიის ქალაქათ ნოვოროსიისკია დანიშნული და შესაბამი ადმინისტრატიული დაწესებულებანიც გაიხსნებიან. ამ ჟამათ ამ საოლქოში ითვლება სულ 18,125 მცხოვრები, ე. ი. ყველა კავკასიის მაზრებზე ნაკლები. მაგრამ შავი ზღვის გუბერნია იმიტომ არსდება, რომ დაასახლონ ეს მხარე. ამ გუბერნიას უჭირავს სულ 672,435 დესეტინა მიწა.

*
* *

ათი წელიწადი შესრულდა მას შემდეგ, რაც ბ. ვარლამ გაბიჩვაძემ სოფ. ალპანაში (ლეჩხუმში) ამოაჩინა ლიტოგრაფიის ქვა. ამ ხნის განმავლობაში ბ. გაბიჩვაძე იმის ძიებაში იყო, თუ რა თვისებისაა მის მიერ ამოჩენილი ქვა და შესაძლებელია იმის ლიტოგრაფიებში ხმარება ბავარიის ქვის მაგიერათ თუ არა. სხვა-და-სხვა სპეციალისტებმა გაშინჯეს და დაამტკიცეს, რომ ალპანის ქვა ბავარიის ქვას არაფრით ჩამოუვარდება და ძლიერ კარგი თვისებისაცაა. ახლა, როგორც გავიგეთ, ამხანაგობა დგება ამ ქვის საწარმოებლათ. ამ საინტერესო საქმის შესახებ ჩვენ ცალკე წერილი გვექნება.

*
* *

**ფოთის ქალაქის სესხი.** ამას წინათ იყო გამოცხადებული, რომ ფოთს ნება მიეცა ერთი მილიონი და ოთხასი-ათასი მანეთის სესხი საგირავნო ფურცლების გამოცემით აიღოს ფოთის პორტის გასაგანიერებლათ.

*
* *

თბილისის მიხეილის რკინის გზის ტეხნიკური სასწავლებელი აცხადებს, რომ მისაღები გამოცდა ახალ მოწაფეებისათვის წელს დანიშნულია 26 აგვისტოდან. თხოვნები უნდა მიერთვას სასწავლებლის უფროსს 15 აგვისტომდის.

*
* *

მართებლობის მიერ გამოცხადებული ამბავი. პეტერბურგის ზოგიერთ ფაბრიკებში ჩვეულებრივი მუშაობა შეწყდა, რადგანაც მუშებმა უარი განაცხადეს მუშაობაზე. მუშების შეთქმულობა დაიწყო 24 მაისს, თანდათან გავრცელდა 19 ფაბრიკებში და სრულიად გათავდა მხოლოთ 17 იენისს. პეტერბურგში სულ 484 ფაბრიკა და ქარხანაა 79,157 მუშებითურთ, გარდა რკინის გზის სახელოსნოების და ხაზინის ქარხნებისა. თავდაპირველათ მუშაობის შეწყვეტა გამოიწვია ფაბრიკანტებმა და მუშათა შორის ჩამოვარდნილმა უთანხმოებამ მათი იმპერატორებითი უდიდებულესობათა დაგვირგვინების დღესასწაულთა გაგრძელების გამო. ფაბრიკანტებმა საფაბრიკო წესდების ძალით მუშაობა შეწყვიტეს 14 მაისს და მუშებსაც ამ დღის ქირა მისცეს; ამასთანავე გამოუცხადეს მუშებს, რომ იგინი აღარ მოსულიყვნენ ფაბრიკაში 15 და 16 მაისს და არც სამუშაო ქირა ეთხოვათ. მუშები კი თხოულობდენ ამ დღეებისთვისაც ქირას. ზოგიერთ ფაბრიკებში ამ დღეებში მართლაც არ უმუშავნიათ. ერთი კვირის განმავლობაში, 17 მაისიდან დაწყებული, ყველა ფაბრიკებში მუშაობა იყო გაჩაღებული.

29 მაისს რუსეთის ბამბის ქარხანაში გამოცხადდენ 102 მუშა-შეგირდი (подручные), რომლებმაც მოითხოვეს ქირა გვირგვინის კურთხევის დღესასწაულის სამივე დღისათვის. კანტორამ შეასრულა იმათი თხოვნა. მოწვეულს საფაბრიკო ინსპეკტორს ამავე მუშებმა განუცხადეს, რომ ამას გარდა იმათ სურთ ქირის მიღება კიდევ იმ მომეტებულ დროისთვის, რომელსაც ისინი ატარებენ მუშაობაში იმის გამო, რომ მაშინებს მართვენ სამუშაოთ უფრო ადრე, ვინემ ეს დადგენილია: დაახლოვებით 20 წამის განმავლობაში ყოველ დღე. თუმცაღა საფაბრიკო ადმინისტრაციამ იცნა ამ მოთხოვნილების სიმართლე, მაგრამ მუშებმა მხოლოთ სადილობამდის იმუშავეს, შემდეგ წავიდენ სახლში და 27 მაისამდის არ გამოცხადებულან, და ამ დღესაც მხოლოთ სადილობამდის იმუშავეს და შემდეგ სრულიად შეწყვიტეს მუშაობა.

ზემოთ აწერილი ამბებით დაიწყო მუშების საერთო შეთქმულება, რომლის მიზეზები აიხსნენ ეკატერინგოფსკის მანუფაქტურაში. მუშები თხოულობდენ, რომ სამუშაო დღე გრძელდებოდეს 12 საათი, დილის 7 საათიდან საღამოს 7 საათამდე, საათ ნახევრის დასვენებით სადილობის დროს; ამასთანავე იგინი თხოულობდენ, რომ მუშაობის დაწყების დრო სისწორით იქნეს განსაზღვრული და მაშინების წმენდა გათავებულ იქნას სადილობის დროს. აგრეთვე შეიტანეს საჩივრები ზოგიერთ ხელოსნების ცუდათ მოქცევაზე, მექრთამეობაზე და სხვ.

ამნაირათ მუშათა მოძრაობა თანდათან გაიზარდა. მუშა-შეგირდების მაგიერათ წინ წამოდგენ

უფრო გაცლენიანი და გამოცდილი მუშები. საერთო რიცხვი ყველა მუშებისა, რომლებმაც ამ შეთქმულობაში მიიღეს მონაწილეობა 15,712 კაცამდე მიახწევდა.

მუშების ყოფა-ქცევა ყველგან ერთგვარი იყო. პირველათ მუშაობას შეწყვეტდა რამდენიმე კაცი, შემდეგ იმათ მიემხრობოდენ დანარჩენნი; მუშები იქცეოდენ მშვიდობიანათ, არავითარ მიზეზს არ იძლეოდენ, რომ იგინი ბრალდებული გაეხადათ წესიერების დარღვევაში. ამის-დამიუხედავათ მუშათა გაფიცვას მიეცა პოლიტიკური ხასიათი. გამოჩნდა 25 სხვა-და-სხვა შინაარსის ფურცელი, მოწერილი: „კავშირი ბრძოლისა მუშა ხალხის გასათავისუფლებლად“, „მუშათა კავშირი“ და „მოსკოვის მუშათა კავშირი“. ამ „ფურცლების“ ავტორები თხოულობდენ იმასვე, რასაც თვით მუშები; მაგრამ ამასთანავე ამხნევებდენ მუშებს სხვა-და-სხვა გვარი დახმარებით. შემდეგში ეს მეთაურები თვით საზოგადოებასაც გადაწვდენ, რომ ეს უკანასკნელი მიმხრობოდა „რუსეთის სოციალ-დემოკრატებს“. თავის დროზე მიღებულმა ზომებმა, პოლიციის და საფაბრიკო ინსპექტორის მხრივ, როგორც იყო, ბოლო მოუღეს მუშათ გაფიცვას. ამისათვის თვით ქალაქის უფროსი დაიარებოდა ფაბრიკებში და უხსნიდა მუშებს იმათი ყოფა-ქცევის მნიშვნელობას. ამ ჟამათ ყოველგან წესი სუფევს და მუშაობაც შეუჩერებლათ წარმოებს. ამ საქმის გამოკვლევა და განხილვა მინდობილი აქვს პეტერბურგის ქალაქის უფროსს და საფაბრიკო ინსპექციის მოხელეთ.

## საყურადღებო ამბები.

გურია. რამდენიმე წელიწადია, რაც გურულები მოსვენებული ვიყავით ფირალთა (ყაჩაღები) თავდასხმისა და აკლებისაგან. მაგრამ, თუ ამდენ ხანს მოსვენებას არ გვაძლევდენ დარჩიები, დათუნაიშვილები და მიქელაიშვილები, ახლა იმათი ადგილი მათმა მეზობლებმა — „ოსლებმა“ დაიჭირეს. 6 ივლისს, საღამოს, საძოვარ-მთაზე, სახელდობ „გრძელ-გორაზე“ (ერკეთის საზოგადოებაშია) ერკეთის საზოგადოებაში მცხოვრებ აზნაურთ: მგალობლიშვილს, უჯმაჯურიძეს, ბერიძეს და კვკელიძეს, თავს დაესხენ ფირალი თათრები, რიცხვით 7 კაცი, და თუ რამ გააჩნდათ, სულ წაართვეს. ჩვენებს იარაღი ჰქონიათ და კიდევაც მოინდომეს თურმე ხელის გამოღება, მაგრამ, რადგან პატარა ბავშები ჰყოლიათ თან შეშინებიათ, ბავშებს დაეხოცენო და დანებებ-ან მცარცველებს. განაცარცვავ ნივთების ღირებულობა შეადგენს 332 მანეთზე მეტს. ამათ გარდა, იმავე ყაჩაღებმა გაცარცვეს მწყემსები — მეგრელები და 80 მანეთის საღირალი იმათაც წაართვეს. გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ ფირალები აჭარლები ყოფილან, რომელთა შორის სამი განთქმული ყაჩაღია: მელუდა ყარამედ-ოღლი, სულიმა კუროღლი და ომერ წერილიშვილი. ყაჩაღებს დაეძებენ. პოლიციამ ყარაულები დააყენა მთაზე, რათა მომავალში მაინც დაიხსნას ავაზაკთა თავდასხმისაგან მწყემსები და მგზავრები.

მოგეხსენებათ, რომ გურიაში თუთუნის (თამბაქო) მოყვანასაც ეტანება ხალხი. ყველაზე უფრო გავრცელებულია თუთუნის მოყვანა ერკეთის და სურების საზოგადოებაში. მარტო ამ ორ საზოგადოებაში მოჰყავთ 20,000 ფუთზე მეტი თუთუნი, მაგრამ აქამდის თუ ფუთი თუთუნი 8—10 მ. იყიდებოდა, დღეს ჩარჩების წყალობით გარეშე ქვეყნის ვაჭრები არ შემოდიან და თვითონ ეს ვაჭბატონები კი 3—4 მ. იძლევიან ფუთში. კიდევ კარგი წყალობაა, თუ რომ დროზე მოგვცათ ხვედრი ფული: 60—100 ფუთ თუთუნში 20—30 მ. ბეთ დატოვებენ და მერე უნდა უცადოთ, იქნება ოდესმე მოგცენ დანარჩენი ფული. ხშირათ მცხოვრებნი იძულებული ხდებიან ნისიათ გაატანონ ჩარჩებს თავიანთი ნაწარმოები. სასურველია, რომ გურიის ამხანაგობამ „შუამავალმა“ იქონიოს სახეში ეს გარემოება და თუ წელს თვისი მოქმედება აბრეშუმის პარკის შეყიდვით დაიწყო ლანჩხუთში, მომავალ წლებში თუთუნის საქმესაც მოჰკიდოს ხელი.

სარდიონ მამალაძე.

***

ს. შუალა (გორის მაზრა) სოფელი ქვემო-ჭალა მართლა რომ შესანიშნავი და საყურადღებო ყოფილა, როგორც ბუნებრივი სილამაზით აგრეთვე სხვა-და-სხვა ძველი ნაშთებით. სწორეთ რომ კმაყოფილი დარჩება აქ მოსული სტუმარი, როგორც ამ მხრით, ისე ადგილობრივ მკვიდრთა კეთილ მოქმედებით. ამ ჟამათ აქ დიდი მეცადინეობით შეუდგენ სასოფლო სამკითხველოს დაარსებას. ამ დიდათ სასარგებლო საქმისთვის გამართეს 16-ს თიბათვეს წარმოდგენა, რომელმაც კარგათ ჩაიარა და აქაურმა საზოგადოებამაც დიდი თანაგრძნობა გამოუცხადა უხვის დახმარებით, შეძლების დაგვარათ. სასწავლებელსაც საერთო მოქმედების საკმაო კვალი აჩნია: მასწავლებელთ თავიანთი მეცადინეობით შეუძენიათ სასწავლებლისათვის საჭირო ნივთები და დახმარებიან მოსწავლეთ ნივთიერათ. დიდათ პატივცემულ თავ.

ივანე გივის ძე ამილახვარს შეუწირავს 8 დღიური მიწა საბალღეთ, და სხვა თავად-აზნაურთაც არ დაუშურებიათ თავიანთი წვლილი, როგორც წარმოდგენის საშუალებით, ისე სხვა დახმარებითაც. შევედი ეკლესიაში და ფრიად სასიამოვნო გალობა მოვისმინე მოსწავლე ახალგაზრდათა. მაგრამ ერთმა გარემოებამ ძლიერ გამაკვირვა. როდესაც ეკლესიაში შევდიოდი, ასე მეგონა, რომ მდაბიო ხალხი ერთი ორათ მომეტებული იქნება წირვაზე გალობის მოსასმენათ მეთქი, და წარმოიდგინეთ ჩემი განცვიფრება, როცა ეკლესიაში და ეკლესიის გალავანში მეიხედ მოვიხედე, ერთი გლეხკაციც ვერ დავინახე, ასე გასინჯეთ, ერთ პატარა ბავშს და მოხუცებულს დედაკაცსაც კი ვერ მოვკარი თვალი. როდესაც ვკითხე თავად-აზნაურთ, რომ მარტო ახლა არის ეს, თუ ხშირათ მეთქი,—იმათ მიპასუხეს, რომ გლეხები გარდა აღდგომის დღის და ზიარებისა არ მოეკარებიან ეკლესიასაო. ერთმა მღვდელმა რამდენჯერმე დაიწყო ქადაგება, როდესაც ერთათ შეყრილი ხალხი ნახა დღესასწაულის დღესო, მაგრამ ხალხი გარეთ გამოვიდენ მომეტებული ნაწილიო. მოსწავლე ბავშებს წასახალისებლათ ტანისამოსი უყიდეს წარმოდგენის შემოსავლიდან; ამაზე მშობლებმა ასე უპასუხეს მასწავლებელთ: მაშ სამ მანეთს კომლზე რისთვის ვიხდით, თუკი ბავშებს არ ჩაიცმევთო. ვერ გამიგია ასეთი შეუკნებლობა და ურწმუნოება ამ ხალხისა და არ ვიცი, რა უნდა იყოს ამის მიზეზი.

სტუმარი.

*
* *

სოფ. დერჩი. ყოველთვის და ყოველგან არსებობენ სულით ავათმყოფნი. განსხვავება აქ, ჩვენსა და სხვა ქვეყნებს შორის იმაში მდგომარეობს, რომ სხვაგან ავათმყოფთათვის თავშესაფარი, რიგიანი მოვლა და წამლობა მიუცილებელ საჭიროებათ გამხდარა, ჩვენში კი უმეტესი ნაწილი ამ გვარ ავათმყოფთა უპატრონოთ მიტოვებულია. ეს კიდევ არაფერი, იტყვის ზოგიერთი, რადგანაც ეს შედეგია ჩვენი ცხოვრების უთავ-ბოლოთ მსვლელობისა და მაინცდა-მაინც ჩქარა ვერ გასწორდებაო. მაგრამ რა ითქმის იმაზე, რომ ბრძანდებიან ისეთი ვაჟბატონები, რომლებიც სარგებლობენ სხვისი ჭკუის სისუსტით თავის მდაბალ სურვილის დასაკმაყოფილებლათ? შემდეგი მაგალითი კარგათ ახასიათებს ამგვარ ვაჟბატონებს.

ორი-სამი დღის წინეთ სოფელ დერჩში შემხვდა ერთი მოხუცი, ასე 70—75 წლისა, სახელათ გოგია. ის იყო სუფთათ ჩაცმული: ახალი ჩოხა-ახალუხით, ასეთივე ფეხ-საცმლებით, თავზე სირმით გაწყობილი ყაბალახით. ამას დაუმატეთ მისი თოვლივით თეთრი წვერ-ულვაში, არა ურიგო მოყვანილობა და ადვილი წარმოსადგენია, რომ პირველ შეხედვით ის გეგონებათ დარბაისელი მოხუცი. მოხუცი გაცხარებული ელაპარაკებოდა იქ მყოფთ, თან დაკეცილ ქაღალდს ხშირათ შლიდა და აწოდებდა წასაკითხათ. ამ ქაღალდის შინაარს ქვევით მოვიყვან. ახლა მოგახსენებთ თუ საქმე რაშია. შეხედულებით დარბაისელი გოგია ყოფილა მანიაკი. სამი ცოლი უკვე მიუბარებია წიაღსა შინა აბრაამისასა. ამას კიდევ სურს მეოთხე შეირთოს და, თუ საჭირო იქნება, მეხუთეც. მიჯნურის ამორჩევაც კარგი ცოდნია: ისეთებს ეპოტინება, რომლებიც ყოველ მხრივ ღირსეულნი არიან, გარდა ამისა „კნიაჟნა“ თუ არ იქნა, ისე არ შეიძლება. გლეხის ქალმა არაფერი იცისო, ამბობს თურმე ხშირათ. საცოდავ გოგიას ამ გვარ სურვილით ბევრი სარგებლობს. ამას ამტკიცებს იმ ქაღალდის შინაარსი, რომელზედაც ზევით არის მოხსენებული. აი, დაახლოვებით რა წერია იქ: ჩვენ ქვემორე ამისა ხელის მომწერნი გნიაზი და გნეინა (სახელი და გვარიც არის მოხსენებული) გაძლევთ პირობას შენ გოგია კახიძეს, რომ მოგცეთ ცოლათ ჩვენი ქალი, გნიაჟნა (ამის სახელიცაა) და არავითარი დამაბრკოლებელი მიზეზი ჩვენი მხრით არ იქნება და სხვა. ყველა ამას აგვირგვინებს თვით „კნიაჟნის“ ხელის მოწერა. მე არ ვიცი, გოგიას ვინ მისცა ეგ პირობა, ის კი ნამდვილია, რომ გოგია მოვიდა დერჩში (თვითონ სხვა სოფლიდანაა) მაჟრებით ამ პირობის ძალით, მოიყვანა ძროხა და დაკლა ხსენებულ თავადის სახლში. ის მე ვნახე იმდროს, როდესაც სტუმრებს ეპატიჟებოდა, მეცით პატივი ქორწილში მობრძანდითო, რაზედაც ბევრი უარს არ აცხადებდა. იყო ერთი ორი, რომლებსაც სურდათ ჩაეკონებიათ გოგიასთვის, რომ იმას ატყუებენ გამოძლომისთვის, თვარა ქალს არავინ მისცემს და სხ., მაგრამ ამაზე პასუხათ ისმოდა: „ამ პირობის ძალითო და ვინიცობაა თუ დაარღვიეს, სასამართლოში უჩივლებო“.

ასეთი შემთხვევა გოგიას ცხოვრებაში პირველი არ არის თურმე. შარშან ვიღაც ბიჭი ქალის ტანისამოსში გამოუწყვიათ, მიუყვანიათ გოგიასთან, რომელიც, რასაკვირველია, მაშინვე დაფაცურებულა და დაუკლავს ძროხა და თხა. ქორწილი სახელოვანი იყოვო, ამბობენ იქ დამსწრენი რაღაც სიამოვნებით, თითქო გმირობა ჩაედინოთ.

რას იტყვი, მკითხველო ამ გვარ საქციელზე?..

ს. მ.

* * *

სამეგრელო. ეს ორი თუ სამი წელიწადია მას შემდეგ, რაც სამეგრელოში სხვა-და-სხვა გვარ აბრეშუმის მოყვანას მიჰყვეს ხელი. უწინდელი ე. ი. ჩვენებური ძველი ჭიის ადგილი ახალმა დაიჭირა. ახალი თესლი, რასაკვირველია, კარგ მოსავალს იძლევა და მომეტებულ ფასათაც საღდება. წელს სამეგრელოში არ დარჩენილა ისეთი სოფელი, სადაც აბრეშუმი მოჰყავთ, რომ ხსენებული ახალი თესლი არ ეყიდოთ. სამწუხაროთ, წელს კი ზოგიერთებს თვე-ნახევრის შრომა ტყუილა-უბრალოთ დაეკარგა, რადგან აბრეშუმის ჭიის თესლი უვარგისი გამოდგა. თესლებს სოფლათ არიგებდენ ახალ-სენაკელი ბერძნები და იმათი აგენტები. რაიცა შეეხება წლევანდელი აბრეშუმის მოსავალს, უნდა მოგახსენოთ, რომ წელს მაინც წარსულ წლებთან შედარებით ერთი სამათ მომეტებული მოვიდა. მით უფრო, რომ ადგილ-ადგილ ჩვენ მეაბრეშუმე ქალებს მამაკაცებიც ეხმარებოდენ. მთელი წლევანდელი აბრეშუმის მოსავალი სამეგრელოსი ბერძნების და აგენტების ხელში ჩავარდა. სოფლიდან მოტანილ პარკს ფუთს ახალ-სენაკში ბერძნები ყიდულობდენ 6—7 მან. და ისიც დიდი ხვეწნითა და ვედრებით. რა ქნას საბრალო მწარმოებელმა? უნდა მისცეს იმ ფასათ, რასაც ისინი შეაძლევენ. ამ ვაჭბატონებმა, როგორც მოგეხსენებათ, სამეგრელოში კარგათ მოითბეს ხელი. ესენი სანამ სამეგრელოში მოვიდოდენ, როგორც იტყვიან, უპერანგოები იყვნენ, მაგრამ ჩაიგდეს ხელში ყოველ გვარი ჭირნახულის მოსავალი მთელ სამეგრელოში, ასე, რომ მოდევე არავინა ჰყავთ. ახლა აბრეშუმიც იგდეს ხელში, და მეტი რა გზაა, უნდა მიჰყიდონ ისე, როგორც მათი სურვილი იქნება. ცხადია, თუ რანაირ გაჭირვებაში იქნებოდენ ჩაცვივნული აბრეშუმას მწარმოებელნი წელს. სამწუხაროთ, ჩვენ სამეგრელოში ჯერ ჯერობით არ აღმოჩნდა ისეთი კაცი, რომელსაც ამ საქმისათვის გული შეტკოდეს და რაიმე წამალი ეძებნოს. უკეთუ ბერძნები ხეირსა ხედავენ, რომ 6—7 მანეთი აძლიონ ფუთ პარკში, ნუ თუ ჩვენებური კაცი იზარალებდა, რომ თვითონ ეყიდა? როდემდის უნდა ვიყოთ იმათ ლუკმათ? ამიტომ დიდი სიამოვნებით ვეგებებით გურიის „შუამავალის“ და ხონის მეაბრეშუმეთა ამხანაგობის დაარსებას, რომელთა უმთავრესი დანიშნულება ის არის, რომ სოფლის ნაწარმოებს ბაზარი გაუჩინონ და გაიძვერა ჩარჩებს არ ჩაუგდონ ხელში.

ტ. კალანდარაშვილი.

* * *

ქ-ნო რედაქტორო! ჟურ. „კვალის“ მე-25 ნომერში გუდაუთიდან წერილი გახლავთ დასტამბული, სადაც კორესპონდენტი ეხება ჩემდამი რწმუნებულ გუდაუთის მაზრას, აფხაზეთის ერთ ნაწილს, რის გამო, სიმართლის აღსადგენათ, უმორჩილესათ გთხოვთ ადგილი დაუთმოთ ამ ჩემ წერილს თქვენ პატივცემულ გაზ. „კვალში“.

კორესპონდენტი მოგვითხრობს, რომ, თუმც გუდაუთის მაზრა ყოველთვის ცნობილი იყო სოხუმის ოლქის ერთ მოუსვენარ კუთხეთ, მაგრამ, სამწუხაროთ, აქ არასოდეს ავ-კაცობას, ქურდობას და სხვა ბოროტ-მოქმედებას იმ ზომამდის არ მიუხწევია, როგორც ამ ჟამათო; ამის დასამტკიცებლათ უჩვენებს სოფ. ოთარის საზოგადოებაზე, სადაც წარსულ 1895 წლის განმავლობაში მოუკლავთ ოცამდე კაცი. გასაკვირია, ნეტავი რომელ წყაროებიდან ამოკრიბა კორესპონდენტმა ეს სტატისტიკური ცნობები? თუ ასე საჭირო იყო მისთვის ესენი, მობრძანებულიყო ჩემთან კორრესპონდენტი, გადაუშლიდი ჩემდამი რწმუნებულ სასამართლოის 1883—1893 წწ. საქმეებს (თუმცა ეს კანონით აკრძალულია) და ნათლათ დაინახავდა, რომ ამ ზემოხსენებულ ხანებში ერთი-სამათ უფრო გახშირებული ყოფილა ავ-კაცობა, ვიდრე ამ სამი წლის განმავლობაში. რაც შეეხება სოფ. ოთარის საზოგადოებას, იქ ოცამდე კაცი კი არარის მოკლული, არამედ სულ 1895 წ. განმავლობაში მოუკლავთ მხოლოთ შვიდი, ისიც, აი, როგორ: ორი ქალი და ერთი ვაჟი უცაბედათ არიან მკვდარნი და ოთხნი კი შურის ძიებით, ან როგორც აქ ეძახიან „სისხლის ამოღებით“, რომელიც მოხდება ხოლმე ქალის მოტაცების დროს და შეურაცხების მიყენების გამო. ძალიან იშვიათია, რომ აფხაზმა გაცარცვოს, ან სხვა რაიმე შეძენისათვის კაცი გამოასალმოს წუთისოფელს. ეს „სისხლის ამოღება“ თავიდანვე ჩვეულებათ აქვთ აქაურ მკვიდრთ გადაქცეული და „ჩვეულება ხომ რჯულზე უმტკიცესიაო“, როგორც ამბობენ; ამიტომ ამის მოსპობა ერთბაშათ თითქმის შეუძლებელია. რომ ქურდობაც ჩვეულებრივი მოვლენაა აქ, ესეც მართალია, მაგრამ ისე გახშირებული კი არა, როგორც კორესპონდენტი მოგვითხრობს. სამწუხაროთ, ქურდობის გაძლიერებას რამდენიმეთ ხელს უწყობს თვით მცხოვრებთა დაუდევრობა და უმწყემსობა. მაგალითათ: პატრონს აქონელი ღამე გარეთ დაურჩა; პირუტყვს თუ სახლში მოსვლა დაუგვიანდა, პატრონი იფიქრებს: უსათუოთ მომპარავდენო და თავ-მოხდილი მიქრის სასამართლოსაკენ საჩივრით, რომლითაც თხოულობს

დაკმაყოფილებას ან საქონლით და ან ფულით მთავრობის გადაწყვეტილების ძალით. ხშირათ მეორე, ან მესამე დღეს საქონელი თავისით სახლში მოსულა, ან და ის მგლის ლუკმათ გამხდარა და პატრონი კი სასამართლოში ეძებს დაკმაყოფილებას. ამისთანა მაგალითები ბევრია...

ძირითადი მიზეზი ასეთი მოვლენისა გახლავთ, როგორც ზევითა ვთქვი, ძველი დროიდან დარჩენილი და ჩვეულებათ გადაქმნილი „შურის-ძიება“, რომელიც თან დევს ყოველსავე გაუნათლებელ ხალხს; საინტერესოა, თუ როგორ უცქერის აფხაზი თავის ვინაობას და სარწმუნოებას; მაგ., მას რომ ჰკითხო, შენ რა სარწმუნოების ხარო, ის თამამათ გიპასუხებს: „აფხაზი ვარ და აფხაზის რჯულს ვიცავო“. რომ ზნე და სარწმუნოება დაეცენ და ხალხი გაირყვნა, ამას ამტკიცებს სხვა-და-სხვა შემთხვევა. მაგრამ აქ ადმინისტრაცია ბევრს ვერას გახდება; ეს საზიზღარი ჩვეულებანი შემცირდებიან მხოლოთ მაშინ, როდესაც ამ მხარეში დაბერავს სწავლა-განათლების შუქი. რაც შეეხება მამასახლისებათ თავად-აზნაურების არჩევას, ეს გარემოება, ვგონებ, უნაყოფოთ არ დარჩეს, რადგანაც ამ მაღალ წოდების პირთ მეტი გავლენა აქვთ თავიანთ სოფლებში, და თუ ესენი კეთილ სინიდისიერათ მოეკიდებიან სოფელს, ხალხშიაც ისე ვეღარ მოიკიდებს ფეხს სხვა-და-სხვა გვარი ბოროტმოქმედება.

უფროსი გუდაუთის მაზრისა

ბესარიონი პავლეს-ძე ჩიქოვანი.

***

ქ-ნო რედაქტორო! უმორჩილესათ გთხოვთ „კვალის“ მახლობელ №-ში დაუთმოთ ალაგი ამ ჩემ შენიშვნას:

ამ დღეებში გადავათვალიერე „პატარა კრებული საუკეთესო ლექსებისა“, ბ. ლალიძის გამოცემა, სადაც, სხვათა შორის, ერთ ლექს ქვემოთ აქვს მოწერილი: „გრიშა“.

ეს ლექსი (ექსპრომტი) დასტამბული იყო ამ წლის „ივერიის“ პირველ №-ში, მაგრამ ორის განსხვავებით: არც ის იყო აღნიშნული — ვის ეძღვნებოდა ექსპრომტი და არც „გრიშა“ იყო მოწერილი, არამედ გრ....

ეს გარემოება ცხადათ გვიჩვენებს, რომ ბ. ლალიძეს არც მისი ნება ქონდა ცალკე გამოცემაში ექსპრომტი ავკვისათვის მიეძღვნა და არც უფლება, იგი ჩემთვის მოეკუთვნებია და „გრიშა“ მოეწერა; მით უმეტესს, რომ ექსპრომტი ჩემიც ყოფილიყო — ზრდილობა მოითხოვდა მოეწერა ან გრ—ა, ანუ გრ. აბაშიძე, როგორც მე თვით ვაწერ ჩემს ლექსებს.

ამისათვის, მე მგონია, სამართალი მოითხოვს, ბ. ლალიძემ ასეთი ფანტაზიით გამოწვეული „შეცდომა“ რომელიმე დროგამოშვებითი გამოცემის საშუალებით გაასწოროს.

გრ. აბაშიძე.

***

ქ-ნო რედაქტორო! უმორჩილესათ გთხოვთ ამ პატარა ჩვენ წერილს ადგილი დაუთმოთ თქვენ პატივცემულ გაზეთში. „კვალის“ 29 №-ში გახლდათ შენიშვნა ბ. მეთვალყურისა დალაქების შესახებ, „რომ საზოგადოთ ძლიერ უღმერთოთ და უვიცათ ეკიდებიან კბილის ამოღების დროს, როდესაც კი მათთან მიელენ კბილის ამოსაღებათო და ამასთანავე წერს დაუჯერებელ მხეცურ მოქმედებას, რითაც აფრთხილებს საზოგადოებას, რომ დალაქებს ახლო არ გაუაროთო და ნამეტნავათ სემინარიის პირდაპირ რომ სადალაქო არისო“. რადგანაც სემინარიას გარშემო რამდენიმე სადალაქო არის და ყველა ჩვენთაგანი უარს ვყოფთ ამ ამბავს, რომ თუმცა დიდიხანია ამ ხელობას ვადგივართ, მაგრამ არ გვქონია ამგვარი შემთხვევა. ბ. მეთვალყურეს კი არ ვიცით, თუ საიდან გამოუკონია ეს. ამასთანავე უნდა მოგახსენოთ, რომ იმ დალაქთაგანი ერთი მეც გახლავარ, ამიტომ რადგან ბ. მეთვალყურესაგან შეთხზული ამბით საერთოთ ჩირქი გვეცხება ჩვენ ხელოსნებს, მუშტარი ზიზღით გვიცქერის, გთხოვთ დაასახელებინოთ იმ დალაქის სახელი და გვარი, აგრეთვე თუ როდის მოხდა მის მიერ აწერილი ამბავი, რომ გავიგოთ საქმის ნამდვილი გარემოება, აგრეთვე თავისი ვინაობაც; უამისოთ კი ეს გამოგონილი ამბავი დარჩება ცილის-წამებათ ბ. მეთვალყურესაგან ჩვენ შესახებ გამოგონილი.

ერთი იმავე დალაქთაგანი.

***

სოფელს რა მხარეც ვუნახე
ყოველი მხრიდან ჭრელია...
ხალხიც გავშინჯე, ძმა ძმისა
ფეხებ ქვეშ მიწის მთხრელია.
ვინც კი მეგონა მოყვარე,
ის ჩემი სისხლის მღვრელია
და, ამ ნაირი სიცოცხლე
განა-ღა სანატრელია?!.

# მარჯორი ვორდროპი

## ყვირილის ხეობაში.

ჩვენი მოკეთე და ქართველთა ერის მოტრფიალე ქალბატონი მარჯორი ვორდროპი თავისი დედ-მამით და ძმით ივლისის შუა რიცხვებში ეწვია გ. ე. წერეთელს სოფ. ჭალას ყვირილის ხეობაში. იმათ უკვე მოევლოთ კახეთი და ახლა ჰსურდათ შუაგული წერტილი საქართველოს ერისა, სახელდობ ზემოიმერეთის ხალხი ყვირილის ხეობაში გაეცნოთ თავისი ძველებური ზნე-ჩვეულებით, ხასიათით, კულტურული თვისებით და პურ-მარილით.

სოფ. ჭალა მდებარეობით ერთი უშვენიერესი სოფელია საქართველოში. ეს შეუყვება მდინარე ყვირილის გაღმა-გამოღმით მოგრაგნილ მთების ყელს, იმის მახლობლათ, სადაც ლიხის ქედი, კავკასიის დიდი მთებიდან შტოთ გამოსული, მოიხრება დასავლეთისკენ და იკეთებს მრავალფეროვან ბუნებით შემკულს უბეს. აქ შფოთდევენ და ქოთდევენ დაუცხრომელ ყვირილასთან სხვა მრავალი ხევის წყლებიცა. ს. ჭალაში ცხოვრებენ ბარე სამოც-დ-ათ კომლამდე ორი წარჩინებული გვარები წერეთლებისა და აბაშიძეებისა. თუმცა ეს ორი გვარი თთ. აბაშიძეებზე და წერეთლებზე უძველესი გვარები არიან; მაგრამ, დახე დროთავითარებას, ესენი აქ ყველანი დღეს აზნაურებათ დარჩენილან. საჩხერელი წერეთლები და თირელი აბაშიძეები ბევრათ უფრო ახალი გვარები არიან წერეთელ-ჯამოსხერიშვილზე, მუშათ-ხუციშვილებზე და ჭალელ აბაშიძეებზე. ამათი წინაპარი მეთოთხმეტე საუკუნეზე ადრე ყოფილან ზემოიმერეთის და არგვეთის ბატონები. თვით ჭალის ძველი წმიდის გიორგის ეკლესიის კედლებზე არიან ამათი წინაპრები დახატულნი: აბაშ აბაშიძე, მისი ძმები ნიანია და იანკო აბაშიძეები. დღეს ეს გვარი უკან ჩამორჩენილია; მათ მოდგმაზე სხვა ახალ ტალღას გადაუვლია. იმათ შერჩენიათ მხოლოთ ერთი საერთო დიდი მამული, რომელსაც მიელის ბრწყინვალე მომავალი, რადგან ეს მამული, როგორც ფიქრობენ, მდიდარია მადნეულობით და ნავთის წყაროებით.

ს. ჭალის საზოგადოება ბრწყინვალეთ დაუხვდა და ძველებური სტუმართ-მოყვარეობა უჩვენა ვორდროპის ოჯახს. ჭალელმა ქალებმა გამართეს მასპინძლობა მდინარის ყვირილის პირზე. კაცებს დაავალეს მდინარის ტოტის გადაგდება და უჩვენეს, თუ როგორ იჭერენ ხოლმე ქალი და კაცი თევზებს დაწრეტილ წყალში. მარჯორი ვორდროპი ისე გაიტაცა ამ სანახაობამ, რომ კინაღამ თვითონაც არ გაიძრო ფეხი და არ ჩახტა წყალში, რომ მასაც დაეჭირა თევზი ხელით ქვებს ქვეშ. შემდეგ დასხდენ დიდ კაკალს ქვეშ მდინარის პირათ, მწვანეზე, და გაშალეს ძველებურათ ნოშოზე სუფრა. მარჯორის ოჯახისთვის იყო ცალკე ამაღლებულ ძელზე სუფრა გაშლილი, მაგრამ მარჯორი და მისი ძმა გადმოხტენ ძირს და ქართულათ მუხლები მოიკეცეს ნოშოზე. იქვე დაანთეს ცეცხლი, მოხარშეს უცბათ ცოცხალი კალმახები და შეიქნა ნადიმი. ამას მოჰყვა სადღეგრძელოები. ახალგაზდა ქალ-ვაჟნი ამკობდენ ქ-ნს მარჯორის და მის ოჯახს შვენიერი სიტყვებით; შემდეგ გაიმართა მრავალნაირი ძველი და ახალი ჰანგების სიმღერები: „სუფრული", „ჩონგური", „მოწყურულ იყო ზაფხული", „არალო", „ორი-დელა", „ხელ-ხვავი", „ძველი მრავალ-ჟამიერი" და სხვ. განსაკუთრებით ისახელეს თავი შვენიერი და ნამდვილი ქართული კილოს სიმღერებით ივანე აბაშიძის ქალებმა. ბოლოს გაიმართა მინდორზე ლეკური, დავლური და იმერული ცეკვა-როკვა. ჭალიდან ვორდროპის ოჯახი გადაიწვია დიმიტრი აბაშიძემ ს. სავანეს, სადაც მარჯორიმ გაიცნო ძველი, დიდებული ნაშენი, სავანის ეკლესია ბაგრატ მეოთხის დროისა და გადიღო ფოტოგრაფიით. აქედან ვორდროპები გავიდენ საჩხერეს და დაათვალიერეს მოდანახის ციხე.

საზოგადოთ ამ პატივცემულს ინგლისელ ოჯახს დიდათ მოეწონა ზემო იმერეთი და აღუთქვეს გ. ე. წერეთელს უფრო ხანგრძლივათ წვევა მომავალ დროისთვის.

დაბა საჩხერეს იმათ გაათიეს ერთი ღამე თ. ბექან წერეთლის ოჯახში და დილით გაემგზავრენ ჭიათურას. ისინი ჩქარობდენ, რომ ოც მკათათვისათვის წვეოდენ ილ. ჭავჭავაძეს საგურამოს.

სტუმარი.

* * *

გამშორდი სევდავ, ტიალო,
ნუღარ მაწვები გულზედა,
დრო მომე, მაზე ვიფიქრო,
ვინც უტკბესია სულზედა;
ვინც გული გამიხალისა,
ავსილი მუდამ ვნებითა,
ვინც მაგრძნობინა სიცოცხლე,
წუთი ტკბილ ნეტარებითა;
ვინც შემაყვარა სიცოცხლე,



ცხოველთა და ფრინველთა თავის დაცვა.

ჭირიეთ მოძულებული,
ვინც ამიხილა თვალები,
მხოლოთ მისია ეს გული!
მას ვეტრფი, მისი ხსენებაც,
მილირს და მიჩანს ძვირათა,
ვის დაღრემილი სურათიც,
თვალ წინ მიდგია ხშირათა.
შორს არის, მაგრამ იქა ვარ
ოცნებით დღე და ღამითა
ველარ შევირყევ მაზე ფიქრს,
ნაღველიც მასვა შხამითა.
გამშორდი სევდავ, გამშორდი,
ნულარ მეხვევი გულშია,
რაც დღე მაქვს, მინდა დავლიო
იმ ერთის სიყვარულშია!

რ. ვ—ი.

## ცხოველთა და ფრინველთა თავის დაცვა.

ყოველ ცხოველს, ფრინველია იგი, ოთხფეხი თუ ქვემძრომი თავის დაცვის ალოო იმდენათ განვითარებული აქვს, და შესაფერი ხერხი იმდენათ შემუშავებული, რომ მათი შემწეობით იგი ადვილათ იცილებს თავიდან განსაცდელს, და ხშირათ სიკვდილსაც კი. ცხოველთა ყოფა-ცხოვრებას რომ დაეუკვირდეთ, ჩვენ ვნახავთ, რომ ყოველ მათგანს იმის და მიხედვით, თუ როგორი ფიზიკური აგებულების პატრონია, და ბუნების რა პირობებში ცხოვრებს იგი, შეთვისებული და შეკავშირებული აქვს ეს თუ ის იარაღი, ხერხი და ზოგჯერ მთელი სისტემა თავის თავის და შვილების დასაცავათ. უმეტეს ნაწილათ ცხოველები გაქცევით შველიან თავსა, მაგრამ ხშირათ, როცა გაქცევა ველარ შველისთ, მაშინ ისინი მიწას გაეკვრიან ხოლმე, ანუ როგორც ჩვენ ვამბობთ, გაინაბებიან. ეს ხერხი მართლაც ბევრჯელ კარგ სამსახურს უწევს მათ და განსაცდელიდან იხსნის. ამ ხერხს მიმართავენ ხოლმე უმეტეს ნაწილათ ბარტყები, რომელთაც გაქცევა, ან გაფრენა არ შეუძლიათ. სირაქლემა, როდესაც კვერცხებზე ზის, გაიგძელებს კისერს, გაეკვრის მიწას და თავს ქვიშაში მალავს, რის გამოც იგი მართლა უფრო ნაკლებათ ხდება მის მტერს თვალში. მწყერი, ჭაკაბი, წერო და ბევრი სხვა რომ გაიგონებენ თავის დედის შეშინებულ ხმას, ისეთი სიმარდით და მაგრათ გაინაბებიან ხოლმე ბალახში, რომ მათი შემჩნევა ხშირათ სრულიად შეუძლებელია. ოფოფმა, მაგ., თუ მტერი შენიშნა და გაფრენა ველარ მოასწრო, უეცრათ ჩამოვარდება ხოლმე ხიდან, თავს უკან გადაიღებს, ნისკარტს მაღლა ასწევს და ამ მდგომარეობაში უძრავათ რჩება, ვიდრე შიში არ გაუვლის.

გაქცევას ან დამალვას გარდა თავის დასაცავათ ცხოველები მიმართავენ ხოლმე სხვა ხერხსაც. მაგ., ჯოჯო და ერთგვარი ბაყაყი ისეთ საშინელ ცუდ სუნს გაავრცელებენ ხოლმე, რომ მტერი ვერ მიეკარება. ერთი ფრინველი (ალბატროსი) თავის მტერს მოუნელებელ საჭმელს შეანთხევს ხოლმე. აქლემი ამ გვარათვე იქცევა და მყრალ მონელებულ საჭმელს შეაყრის ხოლმე თავის მტერს პირში. ზოგიერთ ცხოველს აქვთ მყრალი წვენით სავსე ჯირკვლები და მტრის მოსაშორებლათ ისინი დაცლიან ხოლმე ამ ჯირკვლებს, ზოგის სუნი იმდენათ ძლიერია, რომ ვერაფრით ველარ გამოლევთ ტანისამოსში და ხშირათ არა თუ სახლს, მთელ ქუჩასაც კი მოედება ხოლმე. რაც შეეხება ფუტკარს, კრაზანას, ეს ყველამ იცის, თუ როგორ იცავენ თავსა. ჭიანჭველა იკბინება და ცდილობს „ჭიანჭველის სიმჟავე" ჩაუშვას ნაკბენ ჭრილობაში. შხამიანი გველები ნესტრით ჩხვლეტენ და შხამს უშვებენ მტრის სხეულში. ხოლო ის გველები კი, რომელნიც შხამს მოკლებულნი არიან, გარს შემოეხვევიან ხოლმე მტერს და საშინელი ძალით ანტვრევენ მის სხეულს.

რაც შეეხება ფრინველს, ისინი უფრო დახელოვნებულები და მოხერხებულები არიან თავის დაცვაში. ისინი იკბინებიან, სცემენ ნისკარტით, ჰკლენ, ხერეტენ. ფრთებით და დეზებით იმათ შეუძლიათ მტრის დაჭრა. ხშირათ ისე გააფთრდებიან ხოლმე, რომ მათი დუელები სიკვდილითაც კი დაბოლოვდება ხოლმე. ამის მაგალითი ხშირია მამლების ბრძოლაში. მტაცებელი ფრინველი ყოველთვის ცდილობს, რომ ნისკარტით მტერს თავი გაუხვრიტოს. ყარყატს, წეროს, ლამი-ტოპიას (ყანჩა) ხშირათ ღონიერი ძაღლიც კი ვერ მიეკარება ხოლმე. ლამიტოპია, ბრძოლის დროს იმასა ცდილობს, რომ მტერს თვალი გამოთხაროს.

ძუძუ-მწოველი ცხოველები თავის დასაცავათ უმეტეს ნაწილათ კბილებს ხმარობენ. მაგრამ იმათ სხვა იარაღიც აქვთ: ფრჩხილები, ჩლიქები, რქები, ხორთუმი (სპილოს), ეკლები (ზღარბს). საყურადღებოა, რომ ზოგ-ზოგი ცხოველები, მეტადრე მაიმუნები, იარაღათ ხმარობენ ქვას, ჯოხს, წყალს: მაგ. კენგურუ, როდესაც მას ძაღლი გამოუდგება, წყალ-



კანადა (ამერიკა). მარხილში შებმული ძაღლები.

ში ჩახტება ხოლმე და თუ მტერი არ დაეხსნა, შეახტება ტანზე და წყალში ახრჩობს.

ამას გარდა ცხოველებს აქვთ კიდევ ერთი იარაღი, რომელსაც ისინი ადამიანსავით მიმართავენ ხოლმე გაჭირების დროს. ისინი ცდილობენ შეაშინონ თავისი მტერი და ამისთვის ისეთ სახეს მიიღებენ ხოლმე, რომ შთაბეჭდილება მოახდინოს. ფრინველები, მაგ., ხოხობი, ინდოური და სხვ., აიფხორებიან ხოლმე და ტანათ უფრო მეტი ჩანან. აგრეთვე იქცევიან ოთხფეხი ცხოველებ-ც, მაგ., კატა, რომელიც კუდს გაიბუებს და ზურგზე ბალანს აუშევებს ხოლმე. როდესაც ბაყაყი ან გველი გაბრაზებულია და მტერთან ბრძოლას აპირებს, ხშირათ გაიბერება ხოლმე, რომ მტერი შეაშინოს სხეულის სიდიდით.

## საჭიროა თუ არა ექიმები ჩვენ სოფელში?

Საზოგადოთ რაც მეტი ინტელიგენტი ტრიალებს სოფლებში უკეთესია, რამდენათ ინტელიგენტს შეუვნია თავის მოვალეობა, ხალხის სამსახური, იმდენათ მისი სურვილი და მოქმედება თანაგრძნობის ღირსია. მაგრამ რა პირობებია საჭირო, რომ შესაძლო იქმნას ინტელიგენტის სოფელში წასვლა და ხალხის სასარგებლოთ მოქმედება? ყველაზე წინ აქ საჭიროა ხალხის და მისი ინტერესების გაცნობა და შეგნებული მოქმედება. მე მსურს მხოლოთ რამდენიმე აზრი წარმოვთქვა მაზე, თუ რამდენათ შესაძლოა ექიმის სოფლათ წასვლა. ექიმების შესახებ ხშირათ ისმის ჩვენში საყვედური, რატომ სოფელში არ მოდიანო. მართლაც, თუ ექიმს კარგათ შეუგნია თავისი მოვალეობა, თავისი წმინდა სამსახური, სოფელში ექიმობა დიდ ღვაწლს შეადგენს მისთვის. ექიმის პირდაპირი მოვალეობაა, რომ ავათმყოფი უყვარდეს; ამას თვით სამკურნალო მეცნიერების ინტერესი თხოულობს მისგან. ავათმყოფის ფეხზე დაყენება, მისი მორჩენა ხომ ექიმის განუშორებელი სურვილი უნდა იყვეს. როცა ექიმი ამნაირათ უყურებს თავის მოვალეობას, უყვარს მას ავათმყოფი და თვით ეს ადამიანის სიყვარული ათასნაირათ ამუშავებს მის გონებას, მის ცოდნას, ავათმყოფიც აჯილდოვებს მას იმავე სიყვარულით და ნდობით. ამ ნაირათ ჩნდება ნიადაგი, რომელიც აახლოვებს ექიმს ავათმყოფთან, ავათმყოფს ექიმთან. მაგრამ როდის არის შესაძლო ამგვარი ურთი-ერთობა ექიმსა და ავათმყოფს შუა? მაშინ მხოლოთ, როცა ავათმყოფს მტკიცეთ რწამს ექიმობა და ექიმს, არა თუ შეუსწავლია თანამედროვე საექიმო მეცნიერება, არამედ უყვარს, ერთი მხრით ავათმყოფი, და მეორე მხრით თავის ხელობაც. საზოგადოთ ჩვენში მაინც და მაინც როდი აქვთ დიდი რწმენა ექიმობისა. ამაში დამნაშავეა თვით საექიმო მეცნიერება; ჯერ ეს უკანასნელი არც კია ალსარებული ნამდვილ მეცნიერებათ; ბევრი არის მასში გაურკვეველი და თვით ეს გამოურკვეველობა თანამედროვე საექიმო მეცნიერებისა არის იმის მიზეზი, რომ ხშირია მეტიჩრობა, ცოდნის დაჩემება, შარლატნობა ექიმობაში. ექიმობის ბორძიკობამ და ამ გარემოებით გამოწვეულმა შარლატნობამ დაჰბადა ხალხში ურწმუნოება, ექიმო-

ბის უნდობლობა. ხალხი ისევ ძველ გზას პოულობს, მკითხავებს და შინაურ ექიმებს ეტანება და ამით არც მას, არც თვით ექიმობას ემატება რამე. მაგრამ ამ ბოლო დროს ჩვენ ქვეყანასაც ცოტა წინსვლა დაეტყო. ექიმებს ცოტათი მაინც შეეჩვია ხალხი და 20—30 ვერსის სიშორეს ხშირათ არ აქცევენ ყურადღებას და ქალაქში მცხოვრები ექიმები მიჰყავთ სოფლებში. ამ მხრით შესანიშნავია გურია, სამეგრელო და იმერეთი. მაგრამ ამის მიუხედავათ ჯერჯერობით ჩვენ სოფლებში ექიმი ფეხს ვერ იკიდებს. რათ გაურბის ექიმი სოფელს, რათ მიეშურება მხოლოთ ქალაქ ადგილებში და იქ შედის სამსახურში? ვფიქრობ, რომ ყველას იქ ურჩევნია ცხოვრება, სადაც დაბადებულა, თუკი ცხოვრებისთვის საჭირო ლუკმა-პური მას გააჩნია. ჩვენში ექიმის სოფლათ წასვლა მოუხერხებელია, რადგანაც მისი შემოსავალი შემთხვევაზე ჰკიდია: დღეს აქვს ორიოდე გროში, ხვალ ხელ-ცარიელია. სხვა პირობებიც არ უწყობენ მას ხელს. სოფელში ხშირათ ავათმყოფი აგონდებათ უკანასკნელ მდგომარეობაში და ისიც ღამე. დღე კი გლეხი სხვა რამეზე ფიქრობს, მას საფიქრებელიც მართლა ბევრი აქვს. როდესაც ის მორჩება მუშაობას, დაბრუნდება სახლში, მერე იფიქრებს ავათმყოფზედაც და ექიმის ძებნას ღამე შეუდგება. ბნელ ღამეში უგზო-უკვლოთ უნდა იაროს სოფლის ექიმმა: ხან ხრამში უნდა ჩავარდეს და ფეხები დაიმტვრიოს, ხან თავი უნდა გაიტეხოს *). ხშირათ ამ გვარ მოგზაურობაზედაც უარს არ იტყვის ის, ოღონდ ვინმე წინ გაუძღვეს. საუბედუროთ, ხშირათ წინამძღოლიც არა ჰყავს. ამ პირობებში ძნელია ექიმის გაჩერება სოფელში, როდესაც მას ცოტა მაინც შემოსავლის იმედი არა აქვს და არც თვითონ აქვს რამე ღონისძიება, რომ შეეძლოს ცოტახანს მაინც დარჩეს სოფელში; ამიტომ ის ისევ სამსახურში შესვლას ამჯობინებს, თუნდაც რომ სამსახურში შესვლა შორს გადაკარგვიდეს მას.

ჩვენში საზოგადოთ მამულით შეძლებულნი ხომ ძლიერ ცოტანი არიან, მაგრამ, როგორც საუბედუროთ, მათში რიგიანი სწავლის მიღება ხომ გაძნელებულია. შეძლებული მამულით და ამასთანავე ნასწავლი, თუ კი მას ცოტა მაინც ექნებოდა ხალხის კეთილ-დღეობის სურვილი, ადვილათ შეძლებდა ლუკმა-პურისთვის ბრძოლის ატანას და უფრო ადვილათ დაბინავდებოდა სოფელში. მაგრამ ამისთანა პირები არ გვყავს ჩვენ და თუ გვყავს ორიოდე, ისინიც ქალაქს ეტანებიან. საჭიროება კი ექიმებში მართლა დიდია ჩვენში. რომელიც გინდა კუთხე აიღეთ კავკასიისა, ვერ ნახავთ იმისთანა ალაგს, სადაც აგებულობის მომშლელი სხვა-და-სხვა გვარი ავათმყოფობა ისე იყვეს ძლიერი, როგორც დასავლეთ საქართველოში. აქ გაძლიერებულია უმეტეს ნაწილათ ფილტვების, აპკის და სასუნთქავის სენი. ამ მოვლენას თავისი თვალ-საჩინო მიზეზიც აქვს. დასავლეთი საქართველო და ქართლ-კახეთის ზოგიერთი ადგილები ძლიერ ნესტიანი არის. ჰიგიენიდან ვიცით, რომ, როდესაც დედა-მიწა და ჰაერი ნესტით სავსეა, მაშინ ადამიანი ჰკარგავს მომეტებულ სითბოს, რომელსაც საშინლათ იზიდავს სინოტივით სავსე ჰაერი და დედა-მიწა; ამიტომ ადამიანის სხეულში მომეტებული სითბოს დაკარგვით ის თანასწორობა ალარ არის, რაც სიმთელისთვის უპირველეს პირობას შეადგენს. ამ თანასწორობის დაკარგვით სიცოცხლისთვის უფრო საჭირო და ნაზი ორგანოები, როგორც ფილტვები, მაგალითათ, და სასუნთქავი, ჰკარგვენ ძალას და ნიადაგს უმზადებენ სხვა-და-სხვაგვარ ავათმყოფობას. ეს გარემოება არის მიზეზი, რომ დასავლეთ საქართველოში ფილტვების, აპკის და სასუნთქავის სხვა-და-სხვა გვარი ანთება ძლიერ გავრცელებულია. სხვა კავკასიის კუთხეებში ჰაერი და მიწა უფრო მშრალია, სინოტივეს მოკლებული და ამის გამო იქ არ ხდება ის დიდი დაკარგვა სითბოსი, რომელიც შეადგენს ერთ უმთავრეს მიზეზთაგანს ავათმყოფობის გაჩენისას. ეს სხვა-და-სხვა გვარი ფილტვების და სასუნთქავის ანთება ჩვენში მაშინ უფრო ხშირია, როდესაც მეტი წვიმა იცის. გაზაფხული და შემოდგომა ჩვენში ამგვარ ავათმყოფობით განთქმულია. ხშირათ შეხვდებით ამ დროს სოფელში იმისთანა სახლს, რომელშიაც წყალი შემოსულა და ამასთანავე იშვიათათ ნახავთ ოჯახს, რომ ორი-სამი ავათმყოფი არ იწვეს. ეს ავათმყოფები ფილტვების ან სასუნთქავის ანთებით არიან ავათ და ხშირათ მოუვლელობის გამო ფილტვის ანთება ჭლექათ ექცევათ.

ამნაირათ დიდ პროცენტს ავათმყოფობისას შეადგენს ჩვენში საოცარი მტერი კაცობრიობისა— ჭლექი. ჭლექს, გარდა მემკვიდრეობისა, ძლიერ ხელს უწყობს თვით ჩვენებური სახლიც, რომელიც გაზაფხულზე და შემოდგომაზე ხშირათ დანოტიებულია. რაც უნდა (ბევრი) შემოანთო გარშემო ცეცხლი, ავათმყოფს ვერ დაიხსნი იმ სითბოს დაკარგვისაგან, რომელიც არის შედეგი ნიადაგის და ჰაერის სინოტივეს და რომელიც ამასთანავე უპირველესი მიზეზია ავათმყოფობისა. ამის გამო ძლიერ საჭიროა ჩვენ სოფლებში გარდა ექიმისა რამდენიმე ოთახი, რომელიც ცოტათი მაინც უნდა აკმაყოფილებდეს ჰიგი-

---

*) ეს მეტის-მეტი გადაჭარბებით უნდა იყოს ნათქვამი.

რედ.

…ერ მოთხოვნილებას. შემოდგომაზე და გაზაფხულ-…ზე სოფლის ექიმი სასოწარკვეთილებაში ვარდება, …ავათმყოფობასთან ბრძოლას ვერ ახერხებს, რადგან …თუ ავათმყოფობის გამომწვევი პირობები შეუცვ-…ლელათ რჩებიან. მაშასადამე, ერთი მხრით, შევიწ-…როებული მდგომარეობა სოფლის ექიმისა მატერია-…ლურათ და, მეორე მხრით, ის გარემოება, რომ ავათ-…მყოფობის წინაამდეგ ბრძოლა თითქმის შეუძლე-…ბელია,—არიან იმის მიზეზი, რომ ექიმი სოფელს …გაურბის*).

საზოგადოებაში და ჩვენ ჟურნალ-გაზეთებში კი …ასმის საყვედური ჲ ხანდახან ექიმის გვარზედაც მიუ-…თითებენ ხოლმე. ექიმი რათ გაურბის სოფელსაო? — …თხულობენ,—და იმას კი არავინ ფიქრობს, რომ ექი-…მი ადამიანია, რომელსაც აქვს ფიზიკური და გონებრი-…ვი მოთხოვნილება: მას უნდა ლუკმა პური და ამას-…თანავე თანამედროვე მეცნიერების თვალ ყურის დევ-…ნება. თუ უკანასკნელ მოთხოვნილებას არ აკმაყო-…ფილებს ექიმი, ის ხდება უბრალო მოხელეთ, ემს-…გავსება ისევ იმ მატყუარა-ნაძალადევ სოფლის …ექიმებს, რომლებმაც აიკლეს ჩვენი ქვეყანა. ამით …ომ ხალხსაც ეკარგება ექიმებისადმი რწმუნება, რა-…ც ექიმობაში დიდი ალაგი უჭირავს. როგორ …უნდა მოვიქცეთ, რომ ექიმი დარჩეს სოფელში და …მართლაც ნამდვილი სამსახური გაუწიოს ხალხს?

რადგანაც ჩვენში ეკონომიური სიღატაკის გა-…მო უჯამაგიროთ ცხოვრება ძნელია, ისევ ჯობს, რომ …ექიმი ჯამაგირით იყვეს დაკმაყოფილებული. რათ …უნდა მაინც და მაინც მსხვერპლი? ორი ათას მა-…ნეთამდის ადის წლიური ჯამაგირი ექიმებისა სახელ-…მწიფო სამსახურში, ათასი მანეთი მაინც გამოიმეტოს …წელიწადში ექიმისათვის საზოგადოებამ. რამდენიმე …სოფელს კარგათ შეუძლია გაიმეტოს ეს ჯამაგირი …და ექიმიც კარგათ შეძლებს მათ სამსახურს. გაიძახიან …ექიმისათვის ჯამაგირის გამოღებას ჯიხაიშში, რომე-…ლიც თვალ საჩინო სოფელია იმერეთში. ამასვე იმე-…ორებენ ქვემო-მაჩხანში და სხვაგანაც, მაგრამ არც …ერთ დასახელებულ ადგილს არ განხორციელებუ-…ლა ჯერ-ჯერობით ეს კეთილი განზრახვა. სოფლებს …ჰყავს მღვდლები, მასწავლებლები და სხვა შეგნებული …ირები. რათ არ აქვთ მათ იმდენი გავლენა და ნდო-…ბა ხალხში, რომ ერთი წლის ჯამაგირი მაინც მოა-გროვონ წინდაწინ ექიმისათვის? (!) ფულის მოგროვება და ექიმისათვის გამომეტება დაარწმუნებდა ექიმს, რომ მართლა მოწყურებია (sic) ის საზოგადოებას. **) მაგრამ ამას არავინ აკეთებს ჩვენში, სამდურავს კი გაიძახიან, რათ არ მოდიხართო. ექიმმა უნდა იექიმოს, თუ ბოქაულივით უნდა იაროს სოფელში და ხვედრი ფული აგროვოს. ალალ ბედზე წასვლა სოფელში კი ძნელია. ძნელია მუდამ ფიქრი, ნეტავი ხვალ მექნება ორიოდე გროში, თუ არაო. გადაწყვეტილი ჯამაგირი, რომელიც მტკიცე საფუძველზეა დაყენებული, ექიმს ათავისუფლებს მუდამ ლუკმა-პურზე ფიქრისაგან. ჯამაგირის გამომეტებასთან ერთათ ისიც უნდა იღონოს საზოგადოებამ, რომ ააშენოს პატარა რიგიანი შენობა, რომელშიაც ძლიერ გაჭირვებულ ავათმყოფებმა უნდა შეაფარონ თავი. აი, ორი პირობა, რომელიც უნდა იქმნას შესრულებული, და თუ საზოგადოების საუკეთესო წარმომადგენელნი იფიქრებენ ამაზე, მაშინ საქმეც გაკეთდება. თუ ეს პირობები არ იქმნებიან შესრულებულნი, მაშინ ტყუილია საყვედური. საყვედური მხოლოთ უმნიშვნელო ყბედობაა (?!). გაკიცხვა, საქმის არ მოწონება ძლიერ ადვილია, თვით საქმის გაკეთება კი საძნელოა. გმირობა ძნელია, ექიმის სოფლათ წასვლა უჯამაგიროთ მართლა გმირობა არის, რადგან იგი უნდა შეებრძოლოს მრავალ დაბრკოლებას, ხალხის უმეცრებას და მატყუარა მარჩიელებს, მუდამ ლუკმა-პურზე ფიქრს, რადგან ლუკმა-პური დღეს არის და ხვალ არა. ჯილდოს თხოვა, ვაჭრობა ხომ თვით ექიმობის შებღალვაა. ბევრი მინახავს ახალგაზდა ექიმი ხალხის სამსახურით გატაცებული, კიდევაც დასახლებულან ისინი სოფლებში, მაგრამ ვერ აუტანიათ დიდხანს ცუდ პირობებთან ბრძოლა და ისევ სოფელს მოშორებიან. რომ ექიმი სოფელში გაჩერდეს, ისევ ჯობს, რომ შეგნებულებმა სოფელში მცხოვრებმა შექმნან ზემოხსენებული პირობები (?!). ნამდვილ ნიადაგზე უნდა იქმნას დაყენებული ცოტაოდენი ჯამაგირი მაინც ექიმისათვის. ამასთანავე საზოგადოებამ უნდა გაიმეტოს ცოტაოდენი ფული ორიოდე ოთახის ასაშენებლათ.

ამ პირობების შესრულება რამდენიმე სოფელს ერთათ კარგათ შეუძლია და დიდათ სანატრელია, რომ ერთი ან ორი საზოგადოება იკისრებდეს ამ ფრიად სასარგებლო საქმეს. მაშინ, იმედია, სხვა სოფლებიც მიბაძვენ იმათ. ყურება, რომ ყოველგან გაგვიხსნიან თავ-შესაფარ სასოფლო საავათმყოფოებს, მეტია და ვინც ღრმათ ჩაუფიქრდება, მათ დაარსებას არც იმდენი სარგებლობა შეუძლია მოუტანოს ხალხს. ბევრათ უმჯობესია, რომ საზოგადოებას ესმოდეს თავისი ინტერესები და ისევ განაგებდეს თავის საქ-

---

*) ეჭვი არ არის, რომ ავტორის მიერ დასახელე-…ბული გარემოებანი რამდენიმეთ შეადგენენ იმის მიზეზს, …რომ ექიმები გაურბიან სოფელს. მაგრამ ეს მხოლოთ …რამდენიმეთ. განა ქალაქებში უკეთეს პირობებში იმ-…ყოფება ბოგანო ხალხი?

რედაქ.

მეს. თუ ზემოხსენებული პირობების შესრულება არ შეუძლია ჩვენი სოფლების წარმომადგენლებს, მაშინ ექიმმა რა ქნას.

ექიმი გაშაკიძე.

## მოხუცი ნინიკა.

მოხუცდა ჩვენი ნინიკა,
გაუცვდა მკლავი გმირისა...
რარიგ გატეხა ტიალმა
ჭალარამ ლონე რკინისა!
ჰაი, დედასა!.. მრავალჯერ
„ათთარა"-ნამგლის ტრიალით
მკერდ-ლია ყანის ბოლოში
წამს გაეარდნილა გრიალით.
ხელაურების გორები
გვერდით-გვერდს აუყენია
და ხვითქით მორთულ სახეზე
ალმური გადადენია! .
ახლა კი მუხლებს ველარ ძრავს,
სიბერით მოკვეთილებსა,
წევს, ან ოცნებობს, ან წარსულს
უამბებს შვილი-შვილებსა...
ხან-და-ხან ახლო ყანებში
ყურს მოჰკრავს ხოლმე მღერასა
და გული, ჯერეთ მაგარი,
უწყებს სიამით ძგერასა:
წამოიწევა ცახცახით,
ყავარჯენს დაებჯინება
და, რა გაჰხედავს ბიჭებსა,
შვებით და გაიღიმება...

სოზელი.

---

**) ყურადღების ღირსია ბ-ნი გაშაკიძის სტატია განათლებული ექიმების სოფლათ მოქმედებაზე, მაგრამ მისი წინადადება, თუ რა ღონისძიებით უნდა იქნენ სოფლათ დაბინავებული ნასწავლი ექიმები და ხალხის მიერ უზრუნველ-ყოფილი, —ჩვენ არ მოგვწონს და ვერც ვეთანხმებით მას აწლანდელ გარემოებაში. ჩვენ ხალხს დ.ასაც საკმაოთ შეგნებული აქვს ის აზრი, რომ ნასწავლი ექიმები მისთვის საჭიროა სოფელში და ბევრათ უპირატესობასაც აძლევს მათ თავის სოფლის ექიმებზე, თუ რომ ნასწავლმა ექიმმა შეძლებაზე მომეტებული სასყიდელი არ მოთხოვა ღარიბ სოფლელს. განა ცოტა მაგალითია ჩვენში, რომ ნასწავლს ექიმს დაუმსახურებინოს ხალხის ნდობა, სიყვარული და პატივისცემა? და თუ ის ხალხის ნდობას დაიმსახურებს, ნივთიერათაც საკმაოთ დაჯილდოვებული იქნება. ვინ არ იცის, რომ გურიაში ექიმი იაგორ თაყაიშვილი ხალხისგან ძალიან პატივცემულია და კარგათაც არის მისგან დაჯილდოვებული. როცა იმან პირველათ დაიწყო ექიმობა, მას არც ჯამაგირის დანიშვნა მოუთხოვია და არც სასყიდელი, მაგრამ თითონ გურიის ხალხს არ გამოუჩენია გულცივობა. ლეჩხუმისთანა მივარდნილი კუთხე საქართველოში თითქმის არ არის, მაგრამ, როგორც იასონ გელოვანის წერილიდან ჩანს, იქ არიან ნასწავლი ექიმები და ხალხიც არ მოექცევა მათ უმადურათ, შიმშილით არ მოუკლავს. მერწმუნეთ, ბ-ნო ექიმო გაშაკიძე, რომ ოღონდ ნასწავლმა ექიმმა ხალხს უჩვენოს ავათმყოფის სიყვარული და პატრონობა, ხალხიც მალე დააფასებს მას და მასწავლებელზე და ღვდელზე უფრო დააჯილდოვებს. სოფლელებზე ახალი ხარჯის გაწერა, რომ ექიმს გადაწყვეტილი ჯამაგირი მიეცესო, საჭირო არ არის. ყოველი ოჯახი, რომელსაც ავათმყოფი ჰყავს, საკმაოთ დააჯილდოვებს ექიმს შეძლებისამებრ, ოღონდ ექიმმა გულმხურვალეთ მოუაროს ავათმყოფს და შეძლებაზე მეტს სასყიდელს ნუ მოთხოვს ავათმყოფის პატრონს.

ალბათ ბ. გაშაკიძეს არ ცოდნია, თუ რა ბოროტმოქმედებას გამოიწვევს ხოლმე სოფელში ახალ-ახალი ხარჯების დადება. დღეს ჩვენში გლეხი წელშია გატეხილი მრავალნაირი ხარჯებისაგან: რომელ ერთს გაუვიდეს?— ბატონის გადასახადს, სახელმწიფო ხარჯებს, ღვდლის დრამის ფასს, მასწავლებლის საჯამაგირო გადასახადს, სოფლის ნაცვალს, გზირს, მამასახლისის ქრთამს, თუ ხარჯების ამკრებთა გაიძვერაობას? ნასწავლი ექიმი სოფელში დიდი ღვთის წყალობაა და მისი რჩენა სოფლებს არაოდეს არ გაუჭირდება, ოღონდ ექიმი იყოს ხალხის გულშემატკივარი და პირველ ხანებში იტვირთოს ცოტაოდენი გაჭირვება, სანამდის ხალხი მას გაიცნობდეს და მის ამაგს ღირსეულათ დააფასებდეს.

რედ.

# ჩ ა ლ დ ი რ ი

თავისი შესანიშნავი შენობებით და ტბებით.

(შემდეგი *).

## III

დეკემბრის 23 გადავწყვიტეთ წასვლა წყაროს-თავში. წყაროს თავი ზურზუნას გადმოღმა არის და იქამდის ამ უკანასკნელიდან 25—28 ვერსი იქნება, ამიტომაც მე დავიქირავე ფოსტის მარტოლი და გაუდექი ზიარეთის აღმართს; გავიარეთ თუ არა ზიარეთი, თავ-დაღმართში დავშვენ ცხენები ისე, რომ მეეტლემ ცხენებს თავი ძლივს შეუკავა; მე ამთავდაღმართში ქვეითი სიარული ვარჩიე სანამ სადგურ ჩალდირისს მივაღწევდით. ამ სადგურს არტყია სოფელი, რომელსაც იგივე სახელი ჰქვია. აქ არის ერთი დიდი ტბა, რომელიც რუქებში ხოზაპინის ტბათაა ცნობილი; ზოგიერთნი კი კარწახის ტბას ეძახიან, რადგანაც სოფელი კარწახი მახლობლათ არის. რამდენათაც შემკულია ჩალდირის ტბა, იმდენათ მოკლებულია ხოზაპინი ყოველსავე სიკეთეს. წყალი ძლიერ მლაშეა და სრულებით თევზი არ არის შიგ. აქა-იქ მოჩანან პატარ-პატარა კუნძულები, რომელნიც ამტკიცებენ, რომ ხოზაპინი ძლიერ ღრმა არ უნდა იყოს. ეს ტბა სწორეთ გამოუდეგარია. აქ დამხვდა მახდი ჩაფარი ორი ცხენით და აქედან ერთათ უნდა წავსულიყავით წყაროს-თავში. გავუდექით თუ არა გზას, მახდი ჩაფარმა მითხრა, რომ აქედან ორი ვერსის მანძილზე ჩემი სახლიაო და მიყავით იმისთანა მოწყალება, რომ ჩემსას მობრძანდით, ჩვენ სოფელში ეკლესიაც არისო. უარი ველარ უთხარი და გავწიეთ სოფ. ჩაისში. მისვლისათანავე დავათვალიერე ეკლესია, რომელიც ძლიერ ძველია; შესავალ კარებში მარცხნივ ხუცური წარწერებია, მაგრამ სიტყვები ვერ ამოვიკითხე, სიძველის გამო. შევედი შიგ, თუ არა, მივიხედ-მოვიხედე და სამხრეთისკენ შევამჩნიე, რომ ეკლესია გადუკეთებიათ მე[illegible]ეთათ. იმ ადგილას, სადაც ტრაპეზი ყოფილა, თივას ინახვენ. მხატვრობა სრულიათ არ ეტყობა, რადგანაც ძალიან წაუშლიათ. ამ სოფლის მახლობლათ მტკვარი ჩადის ღრმა ხევში. მტკვარს გაღმა ტყით შემოსილი ჩოჩოს მთაა, რომლის ძირში სამკურნალო წყალია. დავათვალიერე თუ არა საყდრის არემარე მახდიმ წამიყვანა თავის სახლში. შევედი თუ არა ეზოში იმისი უფროსი ძმა მომეგება და სალამს შემდეგ შემიყვანა სახლში. ჩემი დაჯდომა და ყავის მოტანა ერთი იყო, რომელსაც მოჰყვა ჩინებული სადილი. სადილი რომ გავათავეთ, მახდიმ აიღო ერთი მონარჩენი ქათმის ბარკალი, გაახვია ლავაშში და ჩადვა თავის ყაბალახში. რას ნიშნავდა ეს მოქმედება, ვერ გავიგე, რადგანაც არ მიკითხავს არაფრისთვის. მერე მთხოვა, თუ შეიძლება შენი აქ მობრძანება დაწერე, აი, ამ ბუხრის თავზედაო. მე ჯერ არ მინდოდა დავთანხმებოდი, მაგრამ არასფრით არ მომეშვა; მეც ავიღე და დავწერე ჩემი სახელი და გვარი კედელზე. გამოვუცხადე მასპინძლებს მადლობა და გავემართეთ პირდაპირ წყაროს-თავს. გავიარეთ რამდენიმე თოვლით მოფენილი პატარ-პატარა მთები და როდესაც მივუახლოვდით სოფელს, გამოჩნდა დიდი უზარ-მაზარი გუმბათიანი საყდარი, რომელიც ნაშენია ფერად-ფერადი გაწმენდილი ქვებით და დგას ვაკე ადგილზე. გარშემო კი სოფელია შემორტყმული. მივედით თუ არა სოფელში, მახდიმ მიმიყვანა ერთ მოსახლესთან და მითხრა ჩვენი ბინა აქ იქნებაო. სახლიდან გამოვიდენ რამდენიმე კაცები, რომლებმაც სტაცეს ხელი ალვირს, უზანგი დაწიეს და მით მითომც შემიმსუბუქეს გადმოხტომა ცხენიდან, რაც იმათში, როგორც ქართველებში, პატივისცემათ მიაჩნიათ. შემდეგ ოჯახის უფროსი, ნამამასახლისარი ასად-ალა, დინჯათ მოვიდა ჩემთან, სალამი მომცა, მომკიდა ხელი მკლავში და გამატარა ბნელ ოთახებში. ბოლოს, როგორც იყო, შევედით ნათელ მისაღებ ოთახში, რომლის მორთულობა არ იყო დასაწუნი. ჩვეულებლივ სწრაფათ ბიჭებმა წაღები გამხადეს. ასად-ალა ბედნიერათ თვლიდა თავის თავს, რომ სტუმრები ეწვია. ასად-ალას და იმის ძმებს ეტყობა, რომ იმათ სახელოვანი წინაპრები უნდა ყოლოდათ, რაც მართლაც ასე გამოდგა. როცა გავაცანი თავი, მაშინ ასად-ალამ თქვა, რომ იმის პაპის-პაპა ახალციხელი დიდებული გვარის კაცი იყოვო. თითოეულ მათგანს დიდ-კაცობა ეტყობა მიხრა-მოხრაში, მიკვირს, რომ ას-სამოცმა წელმა არ დაავიწყათ ქართული დარბაისლობა; მაგრამ ნათქვამია: ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო,—სწორეთ ამ ოჯახზე ითქმის ეს ანდაზა. ამ ტკბილ მუსაიფში რომ ვიყავით, მახდი-ჩაფარს მოაგონდა თავისი ყაბალახი, საიდანაც ამოიღო ლავაშში გახვეული ქათმის ბარკალი, რომელიც წინ დაუგდო უზრდელათ მასპინძელს და უთხრა ჩემზე: „კნიაზმა“ ბარაქა მოგიტანაო“. (ვერაფრით ვერ მოვაშლევინე კნიაზის დაძახება). ამ უცნაურმა მახდის მოქმედებამ ისე გამაცეცხლა, რომ მზათ ვიყავი მახდი-ჩაფარს ვეძგერებოდი და ჩემებურათ შემეხურებია, მაგრამ რას ვიზამდი უცხო ადგილას. რუსულათ ვუსაყვედურე მახდის, რათ შემარცხვინე-მეთქი.

*) იხ. „კვალი“ № 31

იმან მიპასუხა, რომ ეს აქაური ადათიაო (ჩვეულება). მერე მე უთხარი: „თუ ადათი იყო, გეთქვა ჩემთვის და ხერრიან რასმე მოვეუტანდი მეთქი.—არაო, მიპასუხა, უთუოთ სუფრის მონარჩენი უნდა იყოსო. ტყუილს ამბობდა თუ მართალს, ვინ ყავდა გამსწორებელი. მასპინძელმა კი მადლობა შემოგვწირა დოვლათის შემოტანისათვის. ჩვენ წავედით ეკლესიის დასათვალიერებლათ. ასად-ალა გაგვიძღვა წინ. ეს ეკლესია სიგრძით 47 არშინია და სიგანით 22 არშ.; სიმაღლით გელათზე ბევრათ მაღალი უნდა იყოს. გარშემო კედლებზე მრავალი ხუცური წარწერებია და ალაგ-ალაგ კი მხედრული წარწერებიცაა. რა დროს ეკუთვნიან ეს წარწერები, მე ამის შესახებ ვერაფერს ვერ ვიტყვი, რადგანაც ვერ გავარჩიე. ყოველ შემთხვევაში, ის კი ცხადია, რომ ამ ეკლესიის აშენების დროს არც ერთი ამ წარწერათაგანი არ იქნებოდა, რადგანაც ეს დიდებული წყაროსთავის ეკლესია აუშენებია, როგორცა ჩანს, ქარ.—ცხოვრებიდან და ბატ. ვახუშტის გეოგრაფიულ აღწერიდან, ვახტანგ—გორგასლანისშვილს, მირდატს, მე 5-თე საუკუნეში. ვახუშტი ბატონიშვილი თავის გეოგრაფიულ აღწერაში ამბობს, რომ წყაროს-თავის ეკლესია კოლის ტბის ნაპირზე არისო, მაგრამ ეს შეცდომაა. წყაროსთავის მახლობლათ, როგორც ზემოთ დავინახეთ, ხოზაპინის ტბაა. წარწერებს გარდა ეკლესია შემკულია გარედან გამოქანდაკებული მხატვრობით. აღმოსავლეთიდან რომ შეხედავთ ეკლესიას, დაინახავთ ღვთის-მშობლის ხატს, რომელსაც ხელში მაცხოვარი უკავია. ჯვარი აღარ აქვს. შევედი თუ არა შიგნით ცრემლები მომადგა თვალზე: ეს ოდესმე დიდებული ეკლესია დღეს გაოხრებულია; მხატვრობა მთლათ ჩამოუყრიათ, თლილი ქვის იატაკი ერთიანათ აუყრიათ და წაუღიათ; ნათხარ ადგილებზე ეტყობა, რომ ძვლებიც არ დაუტოვებიათ იმ პირების, რომელნიც ეკლესიაში ყოფილან დასაფლავებულნი. ამ ეკლესიასთან სხვა შენობებიც უნდა ყოფილიყვნენ და აგრეთვე ციხე. ამავე სოფელში მოიპოვება სხვა ძველი ეკლესიებიც.

ვნახე აგრეთვე ის წყაროც, რომლის სახელიც ჰქვია თვით სოფელს. ეს წყარო პატარა ხევშია და გვარიანათ მოზრდილია, ასე, რომ მთელ სოფელს ყოფნის. აი, ამ წყაროს თავზეა გაშენებული დასახელებული სოფელი და ეკლესია. დათვალიერებას შემდეგ გავსწიე ასად-ალასას, სადაც მთელი სოფლის ხალხს თავი მოეყარა. ოთახში შესვლისათანავე ყველანი ფეხზე წამოდგნენ და სალამი მომცეს. მე დავეკითხე იქ მყოფთ, თუ ვინმემ იცოდა ადგილობრივი ეკლესიის ამბავი. არავინ არაფერი არ იცოდა, მხოლოთ ერთმა მოხუცებულმა თქვა, რომ ეს ეკლესია **1500** წლის იქნებაო, გურჯი ხელმწიფისშვილის აშენებულიაო, და არაბებმა დააქციეს მე-7 თუ მე-8 საუკუნეშიო. "აქ ბევრი ბერები იყვნენ, მაგრამ არაბებმა ამოწყვიტეს და დანარჩენი ხალხი კი გაიქცა-გამოიქცაო. ამ მუსაიფში მოგვიტანეს ყავა. ყავას შემდეგ ჩამოვარდა ლაპარაკი კორძაი-შახის ციხეზე. მე-7 თუ მე-8-ვე საუკუნეში ამ ციხის ბატონი ყოფილა ერთი ძლიერი ქართველი თავადიშვილი, სახელდობრ კორძა, რომელიც სპარსეთის შახს თურმე არ ემორჩილებოდა და ამიტომ ხალხში დავარდა ხმა, რომ „კორძაიამ შახს შახობა წაართვაო". ვინ იყო ეს კორძაი-შახი, ამის შესახებ არავითარი ცნობა არ არსებობს. (შეიძლება ახლანდელი კორძაიების ძველიც იყო, თუმცა კორძაიები ამბობენ თავის გადმოსახლებას აფხაზეთიდან). ადგილობრივი გადმოცემა გვეუბნება: მაჰმადის რჯულის, სეიდ-ბადალ-გიოზი არაბეთიდან შემოესია საქართველოს და ეს მხარე ძლიერ გაოხრა და კორძი-შახიც ღალატით მოკლა. ქრისტიანობა სრულიად მოსპო, ვინც არ მიიღო მაჰმადიანობა ზოგი დახოცა და ზოგნი შიდა ქართლში გადასახლენ, ასე რომ მაჰმადიანობა დაამყარა აქ და ისე წავიდა. შემდეგ ქართველებს კიდევ წაურთმევიათ ეს ადგილები, მაგრამ ბოლოს მაინც თურქებს დარჩათ. ამის გამო ქრისტიანობამ აქ ფეხი ვერ მოიკიდა. ასე დაამთავრა კორძი-შახის ციხის ამბავი იმ მოხუცმა, რომელმაც მიამბო წყაროს-თავის ამბავი. გათავდა ამბავი თუ არა ხალხმა თავი დამიკრა და წავიდა. მასპინძლებს გარდა ჩემთან დარჩა კიდევ ორიოდე ალა ჩემი პატივისცემისთვის დაპატიჟებულნი. დავსხედით ვახშმათ; მასპინძლობა ჩინებული გაგვიწია, მაგრამ, არც ერთი ძმა არ დასეა ჩვენთან, თუმცა ბევრი ვეხვეწეთ. მეორე დღეს დილით მოგვიყვანეს მასპინძლის ცხენები და ასად-ალის წინამძღოლობით წავედით კორძაი-შახის ციხის დასათვალიერებლათ. გზაში ასად-ალის ცხენოსნობამ გამაკვირა, იმისთანა კლდიან ადგილზე გადააგდებდა ხოლმე თავის ცხენს, რომ ვიტყოდი, აი, სწორეთ დაიმტვრა მეთქი, მაგრამ ის გაუნძრევლათ იჯდა ცხენზე. ცხენოსნობა ცხენზედაც არის დამოკიდებული, როგორც ჯიხვი ისე დახტოდა ასად-ალის ცხენი. ჩვენ გავედით მტკვარზე და შევედით დიდ ბალში, რომლის თავშიაც დგას მაღალ კლდეზე კორძაი-შახის ციხე ანუ ყალა-ბალჩასი ე. ი. ბალის ციხე.

ოტია ათაბაგი.

(დასასრული იქნება)

## ბედის მაძიებელი.

(ისპანურიდან)

დიდხანს ვდიე კვალში იმ შვენიერ ხელ-უხლებელ სახეს, რომელიც მიქროდა ჩემ წინ. ბოლოს, როდესაც დავეწიე და ახლოს ჩავაშტერდი, შევამჩნიე, რომ პირის სახე უბრწყინავდა და მეც მიცქეროდა მხიარული ღიმილით. იმავ წამს გავუწოდე ხელი და მივმართე ამ კითხვით!

—ვინ ხარ? მითხარი. ამაზე პასუხი მომეცმა!

—აი, ვინა ვარ! მართალია, ხალხი მიწოდებს „მხიარულებას"; მაგრამ შენთვის სხვა სახელი მქვია.

—ჩემო საუნჯევ, ნუ თუ არ მეტყვი რა სახელი გქვიან ჩემთვის?—დავეკითხე გაოცებული.

შვენიერმა მოჩვენებამ ასე მიპასუხა!

—მე შენთვის „ცოდვა" მქვია.

თუმცა დიდი სურვილით და სიამოვნებით დავაშტერდი მოღიმარ, საყვარელს მოჩვენებას, მაგრამ ხელი მაინც გამოვართვი, გამოვბრუნდი და წამოვედი.

ხელ ახლათ გაიელვა ჩემ წინ შვენიერმა ნათელმა სახემ, ამასაც გამოუდექი, დიდხანს ვდიე, როგორც იყო დავეწიე და კვლავ დავინახე გასაოცარი შვენიერი სხივ მომფინარი პირი სახე.

—ვინა ხარ შენ?—ამასაც დავეკითხე გაოცებული.

იმან მიპასუხა:

—ხალხი მეძახის „სიყვარულსა", მაგრამ შენთვის კი მეორე სახელს ვატარებ. ათასში ერთს თუ ეღირსება ჩემი შეხვედრა და სწორეთ იმ ერთმა არჩეულმა უნდა მაგრათ ჩამკიდოს ხელი, თორემ მთელს ცხოვრებაში მხოლოთ ერთხელ მოევლინები ადამიანს.

და, აი, სწორეთ ამიტომ დავყავი ხანი „სიყვარულთან", მაგრამ ბოლოს მაინც გავბედე და მივმართე იმ კითხვით, რომელიც ისე მაწუხებდა!

—ჩემო შვენიერებავ, ჩემო სიხარულო, არ მეტყვი განა, რა სახელი გქვია ჩემთვის?

—ამ კითხვაზე „სიყვარულმა" გადმომიბრიალა თვალები და მიპასუხა:

—შენთვის სახელათ მეწოდება „ცოდვა".

მოვისმინე რა ეს სიტყვები, დიდხანს მივაპყარ თვალი მის შვენიერ სახეს ნიშნათ უკანასკნელ გამოთხოვებისა, გავუშვი ხელი „სიყვარულს", გამოვტრიალდი და წამოვედი.

ამას შემდეგ მოხდა კიდევ, რომ ერთს სამწუხარო დღეს, ბნელსა და დაღვრემილ ალაგას, ჩემ წინ კვლავ გაიელვა ახალმა მოჩვენებამ. ის კი აღარ გარბოდა ჩემგან, პირ იქით, ჩემ ძახილზე მომიახლოვდა და დამიდგა წინ. მის თვალებში მშვიდობიანობა და მოსვენება გამოიხატებოდა. ცივსა და ცრიაგ დედა-მიწაზე და ცაზედაც მისი სახე შვენიერათ მოჩანდა.

—ვინ ხარ შენ? ამასაც ამ კითხვით მივმართე.

—მე კი „სიკვდილი" ვარ, მაგრამ ვინც მე მიმიწვევს, სხვა სახელი მქვია.—მაშინ მე მიუკე!

—იქნება შენში მაინც ვიპოვო დასვენება და დამშვიდება. „სიამოვნება" და „სიყვარული" ჩემთვის არ გაჩენილან. ორივეზე უარ მყვეს... მაშ რაღა დამრჩენია სიკვდილის მეტი?.. ამ სიტყვებით მიუახლოვდი მოჩვენებას და ის იყო უნდა ჩავკროდი გულში. . ამ დროს მომაგონდა მეორე მისი სახელი და ვთხოვე დაესახელებია იგი ჩემთვის. „სიკვდილმა" კმაყოფილებით მითხრა!

—შენთვის და ყველასთვის, ვინც მე მიმიპატიჟებს, მქვია „ცოდვა".

—აი, ახლაც ამიტომ გამოვტრიალდი დაღონებული და დავადექ ჩემს გზას.

განვლო რამდენიმე ხანმა. აღარ ვიცოდი, რა მექნა, როდესაც ერთხელ კიდევ დამეწია ვიღაც და გამომიწოდა ხელი.

—შენ ვინღა ხარ და რა გინდა? შენც ხომ იმ ოჯახობას არ ეკუთვნი, როგორც სხვა დანარჩენნი? იქნება შენც „ცოდვა" იყო?—ამ სიტყვებით ჩავაჩერდი სახეზე მოჩვენებას, რომელზედაც გამოიხატებოდა შეუპოვრობა და სიმკაცრე, გარნა მასთან აღიბეჭდებოდა ის ძლიერი შინაგანი ღონე, რომელიც განისაზღვრება სილამაზესთან.

მოჩვენებამ მიპასუხა:

—ერთი „შრომას" მეძახის, მეორე სხვა სახელს, მაგრამ მე კი ყოველ კაცობრიობას ერთნაირათ ვექცევი და ყველას ერთსა და იგივეთი ვასაჩუქრებ.

ამას შემდეგ მე აღარ დავშორებივარ „შრომას" და აღარც მისი მეორე სახელი გამომიკითხავს, რადგან მე თვით კარგათ მივხვდი, რომ მას მეორე სახელათ ეწოდებოდა „მშვიდობა" და „მოსვენება".

იულია კანდელაკი-შვილისა,

## საქველ-მოქმედო საქმე.

ს. მეჯვრისხევიდან გვწერენ: 29 თიბათვეს მეჯვრისხევის სკოლის დარბაზში ადგილობრივი სახალხო უფასო წიგნთ-საცავის სასარგებლოთ წარმოდგენილი იყო: „ციმბირელი“, ავქ. ცაგარლისა და „ადვოკატთან“ ე. გუნიასი. ხალხი ბლომათ დაესწრო, წარმოდგენამაც საზოგადოთ გვარიანათ ჩაიარა. შვენივრათ შეასრულეს თავიანთი, როლები სიმონ ლევანისძე თულაშვილმა და მიხეილ ზაქარიასძე ლოლაძემ, არა უშავდათრა გ. ა. ხმალაძესაც და ნ. ვ. ლოლაძესაც. მადლობის ღირსნი არიან თ. ი. კანდელაკი და ს. ლ. თულაშვილი, რომელთაც დიდი შრომა გასწიეს წარმოდგენის გამართვისათვის. შემოსავალი კარგი იყო.

* * *

ქ-ნო რედაქტორო! უმორჩილესათ გთხოვთ ნება მოგვცეთ თქვენი ჟურნალ „კვალი“-ს საშუალებით უგულითადესი მადლობა გამოვუცხადოთ ქალ. ბათუმში მცხოვრებლებს, რომელთაც გულ-შემატკივრობა გამოიჩინეს და ერთხელ 34 მან. და მეორეთ 11 მან. და 30 კაპ. შეაგროვეს და მითი ხელი გაუმართეს ჩემ შვილს პეტერბურგში მოსწავლეს—კბილის ექიმს.

მაკ. მენაღარაშვილი.

* * *

ქ-ნო რედაქტორო! უმორჩილესათ გთხოვთ ნება მიბოძოთ თქვენი ჟურნალის „კვალის“ საშაულებით განუცხადო ჩემი უგულითადესი მადლობა ქ. სოხუმის სცენის მოყვარულთა ამხანაგობას, რომელთაც გამართეს ქართული წარმოდგენა 16 ივნისს ჩემდა სასარგებლოთ. საჭიროთ მიმაჩნია არა ნაკლებ მადლობა განუცხადო თვით სოხუმის ქართველ საზოგადოებას, რომელთაც ზნეობრივ თანაგრძნობასთან ერთათ არ დაიშურეს და ნივთიერათაც გამიწიეს დახმარება. ამასთანავე გთხოვთ მოათავსოთ სია იმ პირთა, რომელნიც მონაწილეობას ღებულობდენ წარმოდგენაში; ქ-ნნი: მ. თურქია, ო. მორგველაშვილი, კნიაჟნა აბაშიძე; ბბ: ს. ფრანგულიანცი, თ. ი. მიქაძე, პ. ჩაჩავა, ს. კობახიძე, ა. ქარციევაძე, თ. გაბუნია, ბ. თურქია, ი. ბურჭულაძე, თ. გელოვანი და მ. გველია; სტუდენტები: ს. გაბუნია და ი. სიჭინავა.

წარმოდგენიდან წმინდა შემოსავალი დარჩა 133 მან. 35 კაპ., რომელიც უკლებლათ მივიღე.

მოსწავლეთაგანი აკაკი ი. ხხენკელი.

* * *

ქ-ნო რედაქტორო! უმორჩილესათ გთხოვთ ნება მომცეთ თქვენი პატივცემული ჟურნალი „კვალის“ შემწეობით მადლობა გამოვუცხადო ასკანის საზოგადოებას, რომელიც დამეხმარა და მისი შემწეობით გამოვიწერე საყმაწვილო ჟურნალი „ჯეჯილი“ ჩემდამო რწმუნებულ სკოლისთვის.

ასკანის სამრევლო სკოლის მასწავლებელი
იასე დოლიძე.

რედაქტორ-გამომცემელი ან. თ.-წერეთლისა.

# განცხადებანი

ქ. ქუთაისში

პირველი ენკენისთვიდან მთავრობის ნებართვით იხსნება

## საქალებო სკოლა,

რომელსაც მიზნათ აქვს მოამზადოს ბავშვი-ქალიშვილები 7-დან 10 წლამდე სხვა-და-სხვა სასწავლებლების მოსამზადებელი და პირველი კლასებისათვის.

თხოვნები მიიღება

ელენე მერაბის ასულის დორთქიფანიძის სახელზე, თბილისის ქუჩაზე ნ. დგებუაძის სახლში. სწავლების ფასი თვეში ხუთი მანეთია.

(3—1)

# საკომერციო კურსები

## ქალებისა და ვაჟებისათვის

(წელი მეთოთხმეტე)

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავებას შემდეგ ატესტატები ეძლევათ. 1896—97 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები იქნება სასწავლებელი: 1) საკომერციო ეკონომია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუხგალტერია მარტივი, ორკეცი და საბანკო, 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით, 5) საკომერციო მიწერ-მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ-წერა და წერა გაკრული და შნოიანი (исправленіе дурного почерка).

სწავლა დაიწყება 16 სექტემბრიდან. ახლათ შემომსვლელთა მიღება დაიწყება 2 სექტემბრიდან. ყოველ დღე დილის 10 საათიდან თერთმეტამდე და საღამოს 4 საათიდან 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა № 9, სერგიევის და ნაგორნის ქუჩაზე, აფთიაქის პირდაპირ.

პროგრამები და წესები კურსებისა უფასოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და ძმათა წოვიანოვების საბანკირო კანტორაში, სიონის ქუჩაზე.

ვინც ქალაქს გარეშე ცხოვრებს, შეუძლია წერილით მიმართოს კურსების დამაარსებელს ბ. მანუელიანცს, ტფილისში.

(12—4)

---

პატივი მაქვს ვაუწყო პატივ-ცემულ საზოგადოებას, რომ ამ მოკლე დროში მივიღებ იაპონიიდან **საუცხოვო დამზადებულს იაპონიის საქონელს.** საქონლის მიღება და გასასყიდათ დანიშნული ადგილი ცალკე იქნება გამოცხადებული.

თბილისის დროებითი მოვაჭრე

იოსებ ნიკოლოზის ძე მერკვილაძე.

---

კბილის ექიმი

# ვ. ი. ქიქინაძე

ნიკოლოზის ქუჩა, № 21, სახლი, ე. საგინოვისა, სადაც „ივერიის" რედაქციაა.

---

## ახალი წიგნები იაკობ გოგებაშვილისა

მ ო ს ა ვ ლ ი ს მ ც ვ ე ლ ნ ი, ანუ სასარგებლო ცხოველები და ფრინველები, იპყრობს აღწერას თხუთმეტის ცხოველისას, ოც-და-ხუთი სურათით. იყიდება დამკვეთელთა წიგნის მაღაზიებში: თბილისში წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში, ქუთაისში ჭილაძის, ხეთერელის და ბეჟანიშვილის მაღაზიებში; ახალ-სენაკში, ოზურგეთს და ბათუმში თავართქილაძის მაღაზიებში, ფასი ყველგან ერთი აბაზი.

Р а з б о р ъ учебныхъ руководствъ по русскому языку: Родного Слова Ушинскаго, Русской Рѣчи Вольпера, Курса Русскаго языка Левитскаго, Русской Рѣчи Черняевскаго, ამას გარდა წიგნში მოთავსებულია კიდევ ორი სხვა წერილი, Учебный планъ Инородческой школы и Курсъ начальной Кавказской школы, იყიდება იქვე,—ფასი ათი შაური.—

(6—4)

---

## გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში იყიდება შემდეგი ახალი წიგნები:

ოქროს მოყვარულები ფასი . . . . . . . 15 კ.

მოსავლის მცველნი, სურათებით ი. გოგებაშვილისა . . . . . . . . . . . . . . 20 კ.

მთიულეთი 1804 წ. ა. ფრონელისა . . . . 70 კ.

## ალებ-მიცემობა კავკასიის ქვა-გუნდის ამხანაგობისა.

მთელი ალებ-მიცემობა 20 მარტიდან 18 95 წლისა 1-ლს ივლისამდე 1896 წლისა 3,132.679 მან. 90 კაპ.

| | შემოსავალი. | | გასავალი. | | რაც დარჩენილა | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | მან. | კაპ. | მან. | კაპ. | მან. | კაპ. |
| საწარმოებელი თავნი . . . . . . . . . . . | 5.000 | — | — | — | 5.000 | — |
| ავანსი (ბეთ მიღებული ფული) . . . . . . | 616.910 | 79 | 344.957 | 02 | 271.953 | 77 |
| ამხანაგობაში მონაწილენი . . . . . . . . | 261.116 | 65 | 259.548 | 05 | 1.568 | 60 |
| გადატანილი თავნი . . . . . . . . . . . | 24 857 | 02 | 3.857 | 65 | 20.999 | 37 |
| შემოსული სარგებელი %% . . . . . . . . . | 1.973 | 92 | — | — | 1.973 | 92 |
| | 909.858 | 38 | 608.361 | 72 | 301.495 | 66 |
| კასსაშია . . . . . . . . . . . . . . . | 312.483 | 28 | 310.603 | 22 | 1 880 | 06 |
| ქვა-გუნდა (მარგანეცი) . . . . . . . . . | 276.398 | 28 | 89.610 | 83 | 186.787 | 45 |
| საწევრო ფული . . . . . . . . . . . . . | 600 | — | — | — | 600 | — |
| უკან დასაბრუნებელი ხარჯები . . . . . . . | 12.126 | 91 | 2.856 | 59 | 9 270 | 32 |
| გადახდილი სარკებელი %% . . . . . . . . . | 7.180 | 07 | — | — | 7.180 | 07 |
| კორესპონდენტებს . . . . . . . . . . . . | 1.764 | 29 | — | — | 1.764 | 29 |
| ფულის გასაგზავნათ . . . . . . . . . . . | 6.034 | 18 | — | — | 6.034 | 18 |
| ქვა-გუნდის (მარგანეცის) გადასატანათ . . . . | 323.876 | 39 | 253.410 | 93 | 70.465 | 46 |
| კანტორის ხარჯი . . . . . . . . . . . . . | 6.577 | 08 | — | — | 6.577 | 08 |
| ნაყიდი ნივთები კანტორისათვის და წარმოებისათვის | 1.304 | 70 | — | — | 1.304 | 70 |
| გასამკებო ხარჯები და ქირები . . . . . . . | 9.632 | 05 | — | — | 9.632 | 05 |
| | 957.977 | 23 | 656.481 | 57 | 301 495 | 66 |
| | 1.566.339 | 95 | 1.566 339 | 95 | 301.495 | 66 |


### კერძო საავადმყოფო ამბულატორიითურთ ექიმ. ს. ვ. თოფურიასი. ქ. ქუთაისში.

საავადმყოფოში დგას ოცდა თორმეტი საწოლი ხირურგიულ, გინეკოლოგიურ და შინაგან სენით ავათმყოფთათვის. მუწუკებიანი და გადამდები სენით ავათმყოფნი არ მიიღებიან. მოსიარულე ავათმყოფნი მიიღებიან ყოველ დღე 11 საათიდან შუადღის 3 საათამდე.

შინაგან და ნერვებით ავათმყოფებს მიიღებს: ექ. ს. ვ. თოფურია.

ხირურგიულ და შარდით ექ. ბ. გ. [illegible] დედაკაცურ ავათმყოფთა და ბავშვებისა —ქალი— ექიმი. მ. ფ. გაგანი

რჩევა დარიგების ფასი 50 კ., კონსილიუმის ფასი 3 მ. დღე და ღამის ქირა საავადმყოფოში სრული ხარჯით და ექიმობით 2—3 მანეთამდე. ოპერაციის ფასი გარიგებაზეა.

საავადმყოფოს დირექტორი ს. ვ. თოფურია,

(4—2)


Доз. ценз. Тифлисъ, 27 Іюля 1896 г. — Тип. М. Д. Ротиніанца სტამბა, მ. დ. როტინიანცის Гол. пр., № 41.